ეროვნული ბიბლიოთეკა

„მოგზაური“ წელიწადში ღირს 5 მან. ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ადრესი: თფილისი, ნიკოლოზ. ქ, № 44.

მოგზაური

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

რედაქცია ღიაა ყოველ დღე: დილის 10 საათ. შუადღის 1 საათამდე, და საღამოს: 6 სათ. 7 საათამდე.

№ 13. კვირა, 10 აპრილი 1905 წლისა. № 13.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობა, ფ. მახარაძისა.—გლეხების მოძრაობა, გლეხისა.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენციები.—შინაური მიმოხილვა, ფარისა.—რუსეთის ქრონიკა.—უცხოეთის ქრონიკა.—ორი სურათი, ლექსი პროზათ, №—ჟურნალ-გაზეთებიდან.—საუბარი, ეშმაკისა.—სამშობლო განსაცდელშია, გ. ქ—ისა.—გაკვრით, სიო ჭ—შვილისა.—მცირე შენიშვნა თავად-აზნაურთა კრების შესახებ, ვინ ვარ—ისა.—საგურამოს და ჰოპორტის საზოგადოება, ვ. ნ—ისა. წერილი რედაქციის მიმართ.—განცხადებანი.

წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობა.

მთელი რუსეთის ჟურნალ-გაზეთობა დღეს გამუდმებით ლაპარაკობს და მსჯელობს ხალხის წარმომადგენლების კრებაზე, რომელიც ახლო მომავალში უნდა მოხდეს. იმავე დროს მთელი რუსეთის ხალხი, განურჩევლათ წოდებისა თუ ქესისა, მოუთმენელათ მოელის იმ სანატრელ დღეს, როცა რუსეთის ხალხის მიერ თავისუფლათ ამორჩეული წარმომადგენლები შეიკრიბებიან და დააფუძნებენ რუსეთში ისეთ წესწყობილებას, რომელიც გაათავისუფლებს ხალხს ბიუროკრატიის და პოლიციის ბატონობისა და მტარვალობისაგან, და მიანიჭებს მას სრულ უფლებას თვითონ განაგოს და მოაწყოს თავის საქმეები. იმ ურიცხვ ადრესების, პეტიციების, რეზოლიუციების და მოთხოვნების აზრი, რომლებსაც დღეს ყოველგან ადგენენ და გაზეთებში აცხადებენ, ის არის, რომ მოისპოს ბიუროკრატიის თვითმპყრობელობა და დაფუძნდეს წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობა ისე, როგორც ეს დღეს ყველა განათლებულ ქვეყნებშია. რასაკვირველია, ეს წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობა საზოგადოების ყველა ჯგუფებს, ყველა პარტიებს ერთნაირათ როდის ესმით, ანუ უკეთ რომ ვთქვათ: თითოეულ საზოგადოებრივ ჯგუფს ანუ კლასს თავის საკუთარ ინტერესების კვალობაზე სურს წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობის დაფუძნება; შესაძლებელია ისიც მოხდეს, რომ ხალხის წარმომადგენლობა ამ ახლო მომავალში მხოლოთ სიტყვით განხორციელდეს, ნამდვილათ კი ხალხის უმრავლესობის, ე. ი. მშრომელი, მუშა ხალხის, ქალაქის პროლეტარიატის და სოფლის გაჭირვებულ გლეხკაცობის, დღევანდელი საჭიროებანი და მოთხოვნილებანი წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობის შემოღების შემდეგაც ისევ დაუკმაყოფილებელი დარჩეს. ყოველივე ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ვისგან და როგორ იქნებიან არჩეული ხალხის წარმომადგენლები პირველი, დამფუძნებელი, კრებისათვის, და როგორ მოაწყობენ თვით წარმომადგენლობით მართვა-გამგეობას? შემდგარი იქნება ეს ახალი მართვა-გამგეობა ორი, ქვედა და ზედა, თუ მხოლოთ ერთი პალატისაგან? ყოველივე ეს წინდაწინვე უნდა იქნას აწონილ-დაწონილი, გამორკვეული. მართალია, წარსულ ცხოვრებაში რუსეთის ხალხს არ აქვს ამის გამოცდილება, თავის წარსულიდან ჩვენ არ შეგვიძლია ყოველივე ამის ცოდნა, მაგრამ სამაგიეროთ, ჩვენ შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ სხვა ვაწათლებული ქვეყნების გამოცდილებით და მაგალითით და ამ თავითვე არ გავიმეოროთ ის შეცდომები, რომლების გასწორება შემდეგში უეჭველათ ხელახალ მსხვერპლს მოითხოვს. მაგრამ ეს კი დიდ მუშაობას და მეცადინეობას ითხოვს ჩვენგან. დღევანდელი წამი მარტო იმით კი არ არის შესანიშნავი, რომ ძველი ბიუროკრატიული წესწყობილება ირღვევა, არამედ კიდევ უფრო იმით, რომ დღეს ახალი წესწყობილების შენოჩა უნდა აიგოს. და აი სწორეთ აქ მართებს საზოგადოებას და განსაკუთრებით მშრომელ ხალხს ბრძოლის უნართან ერთათ დიდი გამჭრიახობის და შორს მჭვრეტელობის გამოჩენა.

ყოველივე იმისგან, რაც დღეს ჩვენ გარშემო ხდება, სიტყვით თუ საქმით, ორი დასკვნის გამოყვანა შეიძლება: 1) უნდა აუცილებლათ დაწესდეს ხალხის მიერ ამორჩეული მთავრობა, ე. ი. წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობა; და 2) იმის იმედი ტყუილა ნურავის ექნება, რომ ეს განახორციელოს ბიუროკრატიამ; მხოლოთ თვით საზოგადოებას, თავისი საკუთარი ძალით, შეუძლია ამის განხორციელება. სანამ განვიხილვიდეთ იმას, თუ როგორ უნდა მოვემზადოთ მომავალი ახალი მართვა-გამგეობის განსახორციელებლათ, რაც შეიძლება ფართო დემოკრატიული საფუძველზე, რამდენიმე სიტყვით განვმარტოთ აქ, თუ რაში გამოიხატება, რას წარმოადგენს საზოგადოთ ის ახალი საზოგადოებრივი წესწყობილება, ე. ი. წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობა, რომლის განხორციელებისაკენ ჩვენ მივისწრაფვით. ამას ჩვენ აშკარათ დაგვანახვებს დღევანდელი ბიუროკრატიული წესწყობილების მოკლეთ დახასიათება.

დღეს რუსეთში ბიუროკრატიის სრული ბატონობაა. რუსეთის ხალხს მართავს ერთი მუჭა მსხვილი, ბობოლა მოხელეებისა. ამ მოხელეებს ხალხთან არავითარი კავშირი, გარდა ბრძანებლობისა, არა აქვთ. ისინი განუკითხავათ ბრძანებლობენ. ბიუროკრატიას კარები მუდროთ ჩაკეტილი აქვს; იგი არავის ანგარიშს არ აძლევს თავის მოქმედებაში და არავის წინაშე პასუხის მგებელი არ არის. მას რაც სურს, იმას ჩაიდენს, როგორიც ესიამოვნება, ისეთ კანონებს გამოცემს; მაგრამ ამ კანონებს მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; მას შეუძლია ეს კანონები ყოველი ფეხის ნაბიჯზე დაარღვიოს. მისთვის არავითარი სავალდებულო კანონი არ არსებობს, გარდა მისი თვითნებობისა. კანონებს იგი მხოლოთ ხალხისთვის ცემს. მაგრამ რა არის კანონი? კანონი საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებათა გამომხატველი და ამ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი საშუალებაა. ხალხის მოთხოვნილება, საზოგადოებრივი ცხოვრების საჭიროებანი ვინ იცის, თუ არ თვით ხალხმა, თვით საზოგადოებამ? ამიტომ კანონების გამოცემა პირდაპირ ხალხს უნდა ეკითხე-

ბოდეს, პირდაპირ ხალხზე უნდა იყოს დამოკიდებული. მაგრამ ბიუროკრატია ამას ყურადღებას არ აქცევს. მისთვის ხალხი საშვალებაა და არა მიზანი. კანონები მისთვის საჭიროა თავის ასეთ პოზიციის გასამაგრებლათ, რაც იმავე დროს ხალხის დაჩაგვრას და შევიწროებას მოასწავებს. მაგრამ ბიუროკრატიამ არა მარტო კანონების გამოცემა ჩაიგდო ხელში, იგი იმავე დროს დაეპატრონა სასამართლოს და მის ორგანოებს. სასამართლო, ეს სიმართლის და ჭეშმარიტების დამცველი ორგანო, ბიუროკრატიამ თავის მონა-მორჩილათ გაიხადა. სასამართლო ბიუროკრატიის ხელში სიმართლეს და ჭეშმარიტებას კი აღარ ემსახურება, არამედ იმავე ბიუროკრატიის სურვილებს ემორჩილება. მაგრამ ეს კიდევ არაფერი: ბიუროკრატია დღეს არა თუ იგონებს და ცემს კანონებს, არამედ თითონვე კისრულობს ცხოვრებაში ამ კანონების გაყვანას, თითონ მისივე ხელშია აღმსრულებელი უფლებაც. ამნაირათ ეს ორი ერთი მეორესაგან დამოუკიდებელი სახელმწიფო ფუნქცია, ე. ი. კანონმდებლობითი და აღმასრულებელი უფლება, თვითმპყრობელმა ბიუროკრატიამ მიისაკუთრა. ყოველგან, გარდა, რასაკვირველია, რუსეთისა, სპარსეთისა და ოსმალეთისა, ეს ორი სხვა და სხვა ფუნქცია ერთი მეორისაგან განცალკევებულია, ე. ი. კანონმდებლობითი კრება. ანუ პარლამენტი ცალკეა და აღმასრულებელი ორგანო, სამინისტრო, ცალკე. ბუროკრატიის ასეთ თვითმპყრობელობას მოყვა ის, რომ რუსეთში გამეფდა სრული თვითნებობა არა მარტო მაღალ, დიდ ხარისხოვან და წარჩინებულ მოხელეების, მინისტრების, არამედ სულ უბრალო მოხელისაც, უკანასკნელი პოლიციელის და გოროდოვოის. პოლიციას და ადმინისტრაციას ნება აქვს ვინც უნდა გაჩხრიკოს, ვინც უნდა დაიჭიროს, ციხეში ჩასვას, გადაასახლოს, ამისათვის მას არ ჭირია სასამართლოს მიმართოს და ან კანონს დაემორჩილოს. ამნაირათ მთელი სახელმწიფოს საქმეებს განაგებს დღეს პოლიციის დეპარტამენტი. ყველაფერი დღეს ამ ორგანოზე კიდია, უმისოთ ფეხის გადადგმაც შეუძლებელია. ასეთმა სისტემამ შექმნა ის, რომ დღეს მთელი რუსეთის ხალხი თვალ უწვდენელ უფსკრულის წინ დგას. ერთი ნაბიჯი კიდევ, ამ სისტემის თანახმათ გადადგმული, და მთელი საზოგადოების დაღუპვა აუცილებელი იქნებოდა. რუსეთის საზოგადოება თითქო თვალ-ახვეული მიისწრაფოდა ამ უფსკრულისაკენ. მაგრამ ერთბაშათ მან თვალი გაახილა და წინ შესაზარი და საშინელი სურათი წარმოუდგა. მან დაინახა თავის დაჩაგრული, დამონავებული მდგომარეობა; რომ მას ჯეკნიდენ, ცარცვიდენ, ანადგურებდენ, გონებას უხშობდენ და თვალებს უხვევდენ. დაინახა და შეძრა! მაგრამ მან ჩქარა მოიკრიფა ღონე, გადახედა თავის განვლილ ცხოვრებას, დაუკვირდა თავის დღევანდელ მდგომარეობას და გადაწყვიტა, რომ შეიძლება ხსნა, დაღუპვისაგან გადარჩენა. მაგრამ ეს აღარ შეუძლია დღევანდელი მართვა-გამგეობის მთავარს—ბიუროკრატიას. ეს ძალუძს მხოლოთ თვით ხალხს, მის მიერ არჩეულ მთავრობას. ხალხმა უნდა დაიბრუნოს ის უფლებები, რომლებიც მას ბიუროკრატიამ წაართვა. ეს არ არის ადვილი საქმე. ბიუროკრატიას დღეს დიდი ძალა აქვს ხელში ხალხს წინააღმდეგობა გაუწიოს, და იგი არაფერს დაზოგავს, რომ ხალხი დაამარცხოს და ისევ ძველებურათ განუკითხველ მდგომარეობაში ამყოფოს. ვინ ბაიმარჯვებს ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში,—ამას ახლო მომავალში გავიგებთ; მხოლოთ ის კი უნდა ვიცოდეთ, რომ ბიუროკრატიის მხრით დათმობას ნურავინ ნუ მოელის. ერთათ ერთ დათმობათ შეიძლება ის ჩავთვალოთ, რომ მთავრობა თანახმაა ხალხის წარმომადგენლები მოიწვიოს ზოგიერთ საკანონმდებლო კითხვების შესამუშავებლათ. მაგრამ როგორ უნდა მოიწვიონ ხალხის წარმომადგენლები, ანუ ვინ უნდა აირჩიოს ესენი? რა უფლებები ექნებათ იმათ საკანონმდებლო კითხვების გადაწყვეტაში,—ამის შესახებ არავინ არაფერი არ იცის. შეიძლება, აქ ისეთ წარმომადგენლებზეა ლაპარაკი, რომლების მსგავსნიც არა ერთხელ მოუწვევია სათათბიროთ ბიუროკრატიას. მაგრამ განა ასეთი წარმომადგენლები დააკმაყოფილებენ დღეს ხალხის მოთხოვნილებას? განა ასეთ წარმომადგენელთა კრებიდან უნდა მოველოდეთ ჩვენ დღევანდელ წეს-წყობილების შეცვლას, ბიუროკრატიის ბატონობის მოსპობას და ხალხის თვითმპყრობელობის დაფუძნებას? არა და ათასჯერ არა. არის მხოლოთ ერთათ ერთი საშუალება, რომელიც მიანიჭებს ხალხს ყველა იმ უფლებებს, რომლებიც მას წართმეული აქვს. ეს საშუალება ანუ ეს იარაღი არის **დამფუძნებელი კრება**. ეს კრება უნდა შედგეს ხალხის წარმომადგენელებისაგან, რომლებსაც ხალხი აირჩევს სრულებით თავისუფლათ საყოველთაო, პირდაპირი, საიდუმლო და თანასწორი ხმის უფლებით. ასეთი საარჩევნო უფლება დღეს აღსარებულია საუკეთესოთ; მარ ჰალია, დღეს რუსეთში, სადაც ხალხი გაუნათლებელია, და სადაც ამიტომ ხალხს თავის მტერ-მოყვარის გარჩევა გაუძნელდება, და შეიძლება ადვილათ მოხდეს, რომ ხალხმა თავის ინტერესების დამცველებათ თავისივე მტრები აირჩიოს, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ჩვენ ვერ უარვყოფთ ამ საუკეთესო საარჩევნო უფლებას. ამ საარჩევნო უფლებასთან ერთათ ჩვენ ვთხოულობთ არჩევნების წინ თავისუფალ პროპაგანდას და აგიტაციას, ე. ი. ვთხოულობთ პიროვნების შეუხებლობას, სიტყვის, ბეჭდვის, კრებების, კავშირების და გაფიცვის თავისუფლებას. მხოლოთ ამ პირობებში უნდა მოხდეს ხალხის წარმომადგენელების არჩევა. ამიტომ საყოველთაო და პირდაპირმა არჩევნებმა ჩვენ არ უნდა შეგვაშინოს, რომ ხალხი ვერ შეძლებს თავის მტერ-მოყვარის გარჩევას. ყველაფერი კი, რაც ამ უფლებას შეზღუდავს, იმავე დროს შეზღუდავს ხალხის უფლებას. ეს შეზღუდვა შეიძლება სხვა-და-სხვა ნაირათ, სხვა-და-სხვა გზით მოხდეს; მაგ., როცა ხალხი პირდაპირ არ ირჩევს თავის წარმომადგენლებს საკანონმდებლო კრებაში, არამედ იგი არჩევს იმ პირებს, რომლებმაც შემდეგ უნდა აირჩიონ წარმომადგენელები. ამ სისტემით ხალხი რამდენიმეთ კარგავს თავის გავლენას მართვა-გამგეობაზე. ხალხის უფლების შეზღუდვა შეიძლება კიდევ იმ შემთხვევაში, როცა არჩევის და ამორჩევის უფლება ეძლევა ზოლოთ იმათ, ვისაც განსაზღვრული ნივთიერი ქონება აქვს, ან ვისაც რაიმე განათლება მიუღია. ამ შემთხვევაში ხალხის დიდ უმრავლესობას არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აღარ ექნება, და ამიტომ საკანონმდებლო კრებაში თავისი წარმომადგენელები აღარ ეყოლება; და ამიტომაც იმათ საჭიროებაზე იქ ხმას არავინ ამოიღებს. საკანონმდებლო კრება უნდა იყოს ერთი და იქ საბოლოოთ უნდა წყდებოდეს ყოველგვარი კითხვა; იგი უნდა იმუშავებდეს და ცემდეს კანონებს, იგი უნდა აირჩევდეს ამა თუ იმ გადასახადის შემოღების თუ გაუქმების საკითხს და მის წინაშე უნდა იყვეს პასუხის მგებელი აღმასრულებელი ორგანო, ანუ სამინისტრო. ხალხის წარმომადგენელობის განსახორციელებლათ ამასთანავე კიდევ ორი უმთავრესი პირობაა საჭირო: ერთი ისა, რომ საკანონმდებლო კრება ანუ პარლამენტი მოკლე ვადიანი იყოს, ე. ი. მისი წევრები დიდი ხნით არ ირჩეოდენ, მაგ. ხუთი-ექვსი წლით, არამედ ორი ან სამი წლით. და მეორეც ისა, რომ ხალხის წარმომადგენელებს ხაზინისაგან ჯამაგირი უნდა ეძლეოდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში სახალხო ანუ საკანონმდებლო კრებაში მონაწილეობის მიღების საშუალება მხოლოთ მდიდრებს ექნებათ, და ღარიბები კი იძულებული

შეიქნებიან იქ მუშაობას თავი დაანებონ. დასასრულ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს მეტათ რთული საგანია და ასეთ წერილში მისი სავსებით გარჩევა ყოვლად შეუძლებელია... იმედი გვაქს, რომ ამ კითხვას ჩვენ კიდევ ჩქარა დავუბრუნდებით.

ფ. მახარაძე.

გლეხების მოძრაობა.

რა გვარი ზომები არ მიიღეს, რა ხერხს არ მიმართეს, რა საშვალება არ იღონეს აღელვებული გლეხ-კაცობის დასაწყნარებლათ, მარა წინააღმდეგ მოლოდინისა, ყოველივე ახალი დამამშვიდებელი საშვალება, თავისი შეუსაბამო ხასიათისა გამო, ხალხის მღელვარებას აძლიერებს და ფრთებს ასხამს. მართლაც სად გაგონილა მათრახებითა და ხიშტებით ადგენილი მშვიდობიანობა! განა მოსახერხებელია გაღატაკებულ გლეხს ყაზახ რუსმა მათრახის საშვალებით სახელმწიფო გადასახადი გადაახდევინოს? ეს ხომ სრული უაზრობაა! ხალხი ამბობს შიმშილით სული მხდება, ოჯახი შიშველი მყავს, ათას გვარ გადასახადს ვეღარ ვუძლებ, ბატონი მჩაგრავს, მღვდელი ტყავს მაძრობს და ასეთი ცხოვრების ატანა შეუძლებელიაო. ყველა ამ კანონიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ მთავრობას ერთი საშვალება აქვს, ეს არის ყაზახ-რუსები.

საკმარისია რომელიმე საზოგადოებამ მოილაპარაკოს თავისს გასაჭირზე, და ეს ამბავი მთავრობის ყურამდე მივიდეს, რომ უკვდავების მალამო მზათ არის: სოფელში იგზავნება ასიოდ ყაზახ-რუსი. აი ეს უკვდავების მალამო არის მთავრობის უმთავრესი იარაღი აღელვებული ხალხის დასამშვიდებლათ და შედეგი ამ საშვალებისა ყველასათვის ცხადია: მოძრაობა ელვის სისწრაფით ედება მთელს მხარეს. ერთი სოფლიდან მეორეში გადადის, იქიდან მესამეში და ასე აღარ დარჩენილა კუნჭული სადაც დაჩაგრულ წოდებას ხმა არ ამოელოს და საჯაროთ არ გამოეცხადებიოს თავისი გულის ტკივილი.

იმერეთში, სამეგრელოში და ქართლ-კახეთში გლეხთა მოძრაობამ უფრო სასტიკი სახე მიიღო. ტყეების ჩეხა, თავადთა ოჯახის აკლება, სოფლის სასამართოების გადაწვა და სხვა ამ გვარი საქციელი არავისგან მოწონებული არ იქნება, მაგრამ არც თუ ისე მოულოდნელი მოვლენაა, როგორც ეს ბევრსა გონია.

დღეს მრავალია ისეთი ღრმა მოხუცი გლეხ-კაცთა შორის, რომელსაც თავის ზურგზე გამოუცდია ბატონ-ყმობის მწარე ღელი, რომელსაც უთუოთ არა ერთი და ორი უსამართლობა, არა ერთი და ორი უდანაშაულო აწიოკება ახსოვს; რომელსაც გულში ღრმათ ჩასჭედია ყოველივე ის, რაც გამოუცდ-გაუგონია და რომელსაც ადვილათ წარმოუდგება ხოლმე თვალ-წინ გაელილი ცხოვრების უსამართლობა. არა თუ პირადი გამოცდილებით უმაღურნი, წარმოიდგინეთ ზეპირ გადმოცემულ ამბებითაც გაჟღენთილია გლეხის გონება და განა გასაკვირია მან შური იძიოს?!

გავლილ უსამართლობას ზედ ერთვის დღევანდელი უსწორმასწორობა, დღევანდელი დაბეჩავებული მდგომარეობა გლეხისა და განა გასაკვირია იშვიათ შემთხვევაში გლეხთა უმნიშვნელო უმცირესობამ ჩაიდინოს ის, რასაც კანონიერის სახით ჩადიოდა თავად-აზნაურთა უმრავლესობა. განა დღესაც ასევე არ იქცევა დასამშვიდებლათ გაგზავნილი ყაზახ-რუსობა? დიახ, იქცევიან, მაგალითები ურიცხვია.

ზემოთ ნათქვამით ჩვენ არ ვიწონებთ გლეხ-კაცობის ისეთ საქციელს, როგორიც ტყის გაჩეხა ან მემამულის აკლება და გადაბუგვაა. ჩვენ მხოლოთ ვამბობთ იმას, რომ ასეთ საქციელს აქვს ისტორიული ნიადაგი, რომ ის გლეხთა სიმხეცის ბრალი როდია, არამედ გულში ჩაკვერილ მრავალ უსამართლობათა ნაყოფი.

მიუხედავათ ჩვენი ნაციონალისტების ქადაგისა, ქართველ გლეხ-კაცობასა და ქართველ თავად-აზნაურობას სხვა და სხვა ინტერესები აქვთ. მიუხედავათ ერთი ენისა და ერთი სარწმუნოებისა ისინი ერთმანეთს მტრულათ უცქერიან და შეიძლესაც უცქერიან. ამის მიზეზს ყველა შეამჩნევს ვინც თვალს გაახელს და ცხოვრების სინამდვილეს უკუღმა არ დაინახავს. გაუგებრობათ თუ არა სიყალბეთ მაინც მიგვაჩნია ზოგიერთა გაზეთების აზრი, ვითომც ქართველი გლეხკაცობის მოძრაობის უმთავრეს მოთხოვნილებას „დედა-ენა“ შეადგენდეს, ვითომ გლეხ-კაცობა იმისთვის ღელავდეს, რომ სამინისტრო სკოლებში ქართულ ენას გლახათ ასწავლიან; ვითომ სამეგრელოში მეგრელი გლეხები იმისთვის წვავდენ სასამართლოებს, რომ თეძორდანიამ სამრევლო სკოლებიდან ქართული ენა გამოსდევნა; ვითომ გურულები იმისთვის აღარ მუშაობდენ თავადების მამულში, რომ იქაურ სკოლებში გოგებაშვილის მაგივრათ ლევიტსკის წიგნებს ხმარობენ. განა ამაზე მეტი უსუსურობა შეიძლებაა?! ამ ვაჟბატონების აზრით საკმაოა ყველა სოფლის სკოლებში გოგებაშვილის „დედა-ენა“ და მშვენიერი „ბუნების კარი“ შემოვიღოთ, ერთი სიტყვით სწავლა სამშობლო ენაზე მოვაწყოთ, რომ გლეხ-კაცები დამშვიდდენ. საკმაო ქართული ენის შემოღება, რომ თანამედროვე წეს წყობილების, და თანამედროვე ეკონომიური უსწორ მასწორობის მოსასპობათ ამხედრებული ხალხი დაცხრეს. საკმაო ეკლესიებში ქართული წირვა გაიგონონ, რომ დრამა ფული და სხვა დაუსრულებელი სამღვდელო გადასახადი უკლებლივ იხადონ; საკმარისია ქართველი პოლიცია, რომ ყოველივე ძალ მომრეობა მოისპოს. ესეც ფხიზელი შეხედულებაა ცხოვრებაზედ რალა. ჩვენ არა გვგონია, რომ ნამდვილი მიზეზი დღევანდელი მოძრაობისა ასე საიდუმლო იყოს. თითქმის ყოველმა გლეხმა იცის, რომ ის იბრძვის დღევანდელ წეს-წყობილების წინააღმდეგ, რომ მთავარი ძარღვი მისი მოძრაობისა არის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესობა; რომ ის იბრძვის ლუკმა პურისათვის და არა ცალიერი სიტყვებისათვის.

დიახ, ეს ყველასათვის ცხადია, მაგრამ გაუგებარი გამხდარა ზოგიერთა გაზეთის ხელმძღვანელებისთვის.

გლეხი

სხვა და სხვა ამბები.

მემანქანეების და მათი თანაშემწეების გაფიცვის მიზეზით მატარებლების მიმოსვლა შეწყვეტილია.

—

სამშაბათს, 5 აპრილს ერთ მემანქანეს, რომელმაც ისიც იყო გუმბრიდან მატარებელი მოიყვანა, უბრძანეს მეორე მატარებელი წაეყვანა და როცა უარი განუცხადა სადგურის უფროსის ოთახში წაყვანა დაუპირეს. ამხანაგებმა მემანქანე გაათავისუფლეს.

—

ოთხშაბათს, 4 აპრილს, რკინის გზის სადგურის ახლო თავი შეიყარეს ტელეგრაფისტებმა და სხვა მოხელეებმა თავის საქმეებზე მოსალაპარაკებლათ, მარა გაჩდენ ყაზახები და ხალხი გაფანტეს.

—

ნავთლუღში გაფიცულან მეცურმეები, მედროგეები და სხვა და სხვა ქარხნების მუშები.

—

ჰიათურაში გლეხების მოძრაობა თან და თან მძვინვარ-

დება. გლეხები, მას შემდეგ, რაც მათ წინააღმდეგ სასტიკი ღონისძიებებზე ლაპარაკი გაისმის—უფრო მტრულათ უყურებენ თავ.—აზნაურებს და მუქარით ამბობენ: „ვინც ჩვენ წინააღმდეგ კაზაკებს გამოიწვევს, იმას ოჯახობიანათ გავანადგურებთ. ჯერ მათ მოვკლავთ და მერე ჩვენ რაც უნდა ის გვიყონ კაზაკებმაო“.

—

სოფელ წყნეთში კანცელარიის ფანჯრები ჩაულეწიათ და ქალალდები გადაუბუგავთ.

—

თფილისის საშვალო და დაბალი სასწავლებლების მასწავლებლებს აზრათა აქვთ გამართონ საზოგადო კრება ყველა მასწავლებლებისა. დადგენილებანი უკვე შემუშავებული აქვთ.

—

ზუგდიდიდან დეპეშით ატყობინებენ „ივერიას“: სოფელ მუხურში 7 აპრილს ვიღაც უცნობმა პირებმა მოკლეს 12 ტყვიით თ-დი ᲔᲡ. ა. დადიანი.

ზუგდიდის მაზრის უფროსის თანაშემწეს, რომელსაც თან ახლდა 6 სტრაჟნიკი, გზაში თოფი ესროლეს. დაიჭრა ერთი სტრაჟნიკი.

—

ოთხშაბათს, 6 აპრილს თფილისიდან გაისტუმრეს მატარებელი, რომელზედაც ძალით დასვეს მემანქანე ვოლმარი. როცა მატარებელი სადგურ კასპში გაჩერდა, ორთქლ მავალზე ავარდა ვიღაც უცნობი კაცი და რევოლვერით მოკლა ვოლმარი.

—

ამიერ კავკასიის რკინის გზის ჯუროსმა განკარგულება მოახდინა, გაფიცული მემანქანეები ჟანდარმების და ჯარის კაცების შემწეობით გამოიყვანონ თავიანთ სახლებიდანო.

—

გზათა მინისტრს ამიერ-კავკასიის რკინის-გზების უფროსისათვის მემანქანეთა გაფიცვის შესახებ გაგზავნილ დეპეშაზე შემდეგი პასუხი გამოუგზავნია: გამოუცხადეთ მემანქანეებს, რომ თუ ამ განცხადების შემდეგ სამი საათის განმავლობაში მუშაობას არ შეუდგენ—ყველანი შორეულ აღმოსავლეთში იქნებიან გაგზავნილიო. ფოთის რკინის გზის რემონტის მუშები კი დაატყვევეთო.

—

გაფიცულ რკინის გზის მოსამსახურეების მაგიერათ იმიერ კასპიის ოლქიდან გამოიწვიეს რკინის გზის ბრიგადის ერთი ბატალიონი.

—

8 აპრილს რკინის გზის სადგურთან შეკრებილ ხალხს მათრახებით დაერივნენ ყაზახ-რუსები. მწარეთ ცემეს ერთ სტუდენტს, რომელსაც თავისი ამხანაგი მიეშველა; უკანასკნელი პოლიციელებმა დაატუსაღეს.

—

პეტერბურგიდან იტყობინებიან, რომ კავკასიელ ხალხის წარმომადგენელთა სათათბირო კრებისათვის წევრების არჩევა მხოლოთ ნამესტნიკის საქმე იქნება და, თვით კრებებიც მხოლოთ კავკასიის ზოგიერთ ალაგს მოხდება, და არა საერთოთ.

—

28 მარტს გაიფიცენ თბილისის აბანოების მექისეები. მათ სხვა და სხვა მოთხოვნები წარუდგინეს აბანოების პატრონებს- მოთხოვნები დაეკმაყოფილეს და მექისეებმაც მუშაობა განაახლეს 3 აპრილს.

—

დიდი მთავრის სერგეი ალექსანდრესძის მკვლელს, კოლიაევს სასამართლომ ჩამოხრჩობა მიუსაჯა.

—

თბილისის რკინის გზის კონდუქტორების მოთხოვნები· 1) უნდა მიეცეთ სიტყვისა და კრების სრული თავისუფლება თავიანთ მოთხოვნილებათა და საჭიროებათა გამოსარკვევათ. 2) უნდა მიეცეთ დახმარება საქონლის მატარებლების კონდუქტორებს—30 მან., ბაგაჟისა—35 მან. და მთავარ-კონდუქტორებს—40 მან.; ეს დახმარება უნდა მიეცეს იმ კონდუქტორებსაც, რომლებსაც შენიშვნა მიულიათ და სამსახურში ახლათ შესულებსაც. 3) უნდა დააკმაყოფილონ თხოვნა კონდუქტორების მიერ ამა წლის 21 თებერვალს № 828 მიცემული; კონდუქტორები აცხადებენ, თუ მარტო პირველსა და მეორე მუხლს დააკმაყოფილებენ, მაშინ მხოლოთ საფოსტო მატარებლებზე ვივლით, დანარჩენ მატარებლებზე კი მაშინ ვივლით, თუ მესამე მუხლსაც დააკმაყოფილებენო.

მემანქანეთა და მათ თანაშემწეთა მოთხოვნები: 1) მოგვემატოს ჯამაგირები, ან ბინის დასაქირავებელი ფული, რომელიც მოგვისპეს, ისევ დაგვიბრუნდეს; 2) თითოეულ ვერსზე მოგვემატოს $^1/_3$ კაპ., ვიდრე ახლა გვეძლევა; 3) შეშასა და ნავთზე დაწესდეს მუდმივი ნორმა, რომ ყველას შეგვეძლოს მივიღოთ ჩვენი კუთვნილი 7%, სხვა დეპოებზე დიმოუკიდებლათ. 4) აუცილებლათ საჭიროა ლოკომოტივებზე გაიმართოს კანტორა-ბუდკები ზამთრობით, სკამები და სკამ-ლოგინები (полки). 5) მოისპოს მატარებელთა დაგვიანება, წინააღმდეგ შემთხვევაში ამისი ხელ-ფასი დაგვენიშნოს; 6) ნება მოგვეცეს პირადათ მოველაპარაკოთ და განვუმარტოთ ჩვენი მოთხოვნილება-საჭიროებანი «ტიაგის» სამსახურის უფროსსა და მის თანაშემწეს და მოისპოს ამნაირ შემთხვევაში მსახურთა მოხსენება, როგორც აქამდე იყო; 7) ნება მოგვეცეს დავაარსოთ საამხანაგო სასამართლო, როგორც სხვა გზებზეა დაწესებული; გარდა ამისა, ნება ქონდეს ექსპერტებს, განიხილოს ჩვენი ამხანაგების ესა თუ ის საქციელი და რკინის გზის ადმინისტრაციისაგან გადაწყვეტილი სასჯელი.

გარდა ამისა, თავიანთ მდგომაოების გასაუმჯობესებლათ თხოულობენ კიდევ შემდეგს:

1) ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ჯამაგირის მომატება 15%; 2) ეფასო პირველ-დაწყებით სწავლის შემოღება, საშუალო სასწავლებლის დაარსება და გზაში მოსამსახურეთა ბავშვებისთვის პანსიონი; 3) საქონლის მატარებლების მემანქანეებმა თვეში ღნდა გაიარონ არა უმეტეს 200 ვერსისა და სამგზავრო მატარებლების მემანქანეებმა არა უმეტეს 1000 ვერსისა, ამაზე მეტი თუ გაიარეს, ზედმეტ შრომაში ნახევარ ჯამაგირის მომატება. 4) დეპოს სამკითხველოსთვის მუდმივი სუბსიდია. 5) ეროვნების განურჩევლათ სამსახურში დაწინაურება. 6) საექიმო ნაწილის გაუმჯობესება; 7) კბილის ექიმობა უფასოთ; 8) მემანქანეებისა და მათის თანაშემწეების სავალდებულო დაზღვევა რკინის გზის ხარჯით; 9) პენსიის მიღება 15 წლის სამსახურისათვის.

—

ამიერ-კავკასიის რკინის გზის ბუფეტების მოსამსახურეთა მოთხოვნები: 29 მარტს ამიერ-კავკასიის რკინის გზის ბუფეტების მოსამსახურეებმაც წარუდგინეს თავიანთ აღებს შემდეგი მოთხოვნილებები: 1) 8 საათის სამუშაო დღე; 2) ჯამაგირის მინიმუმის დაწესება (თვეში 15 მან.); 3) წელიწადში სამჯერ ყველას აუცილებლათ უნდა ემატებოდეს; 4) მუშტარზე დარჩენილი ნისიები მოსამსახურეებს არ უნდა გადახდეთ; 5) მოსამსახურეებმა პასუხი არ უნდა აგონ დაკარგულ ან გატეხილ ჭურჭელზე; 6) ზრდილობიანად მოე-

პყრან უფროსები და აღები; 7) მიეცეთ ბინის ფული, ხოლო თუ ეს მოუხერხებელი იქნება, მაშინ ჰიგიენურად მოწყობილი ოთახი უნდა მიეცეთ და თითოში 2 კაცზე მეტი არ უნდა ცხოვრობდეს; 8) წელიწადში ერთი თვით თავისუფლება ჯამაგირის შენახვითა და ადგილის დაუკარგავათ; 9) ავათმყოფობის დროს ექიმი და წამალი ერთი თვის განმავლობაში უფასო უნდა იყოს და ჯამაგირიც უნდა ეძლიოთ; 10) მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნა მოსამსახურების საქმე იყოს; 11) დათხოვნა ერთი თვით აღრე უნდა გამოეცხადოს, ან და ერთი თვის ჯამაგირი მიეცეს; 12) მიღებულ იქნას ყველა ხელქვეითები 16—17 წლისაზე არა ნაკლებისა; 13) ჯამაგირი უთუოთ ყოველი თვის ბოლოს რიგდებოდეს; 14) სრულიათ მოისპოს ფორმის ტანისამოსი; 15) სასადილოთ განსაზღვრული დრო დაინიშნოს; 16) გაფიცვისათვის არავინ იქნას დათხოვნილი; 17) პოლიტიკურ საქმეებში შენიშნულნი ისევე მიღებულ იქნან თავიანთ ძველ ადგილებზე; 18) უჯამაგიროთ არავინ იქნას მიღებული; 19) აღების შარშანდელ კრებაზე დადგენილი თითო თუმანი თვეში ჯამაგირათ მიეცეთ მოსამსახურეებს! 20) ბუფეტის მოსამსახურეებს, რომელთაც თვეში 10—15 მ. აქვთ ჯამაგირათ, მოემატოთ 50%, ვისაც 15—25 მანათამდე აქვთ—25% და ასე ამ ნაირათ.

—

თფილისის ტრამვაის მოხელეთა გაჭირვებული მდგომარეობა და სამსახურის სიძნელე არავისთვის საიდუმლო აღარ არის. უბრალო მგზავრს შეუძლია მხოლოთ ის ჯაფა შენიშნოს, რომელსაც კონდუქტორი და ვატმანი ეწევა და აქაც ამ მძიმე შრომის მხოლოთ მცირეოდენი ნაწილი. დანარჩენი მოხელეების მოქმედებას საზოგადოება ვერ ხედავს. ამ დღეებში, ცკაცრავათ დღეებში კი არა ამ ღამეებში ტრამვის მუშებმა ქალაქის საბჭოს დარბაზში მოახდინეს კრება. „ღამეებში“ მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ კრება დაიწყო ღამის თორმეტ საათზე ე. ი. იმ დროს, როცა ტრამვაის მოქმედება წყდება. კრებას დაესწრენ: სადგურის უფროსები, კონტროლიორები, ვატმანები, კონდუქტორები, ყარაულები და სხ. რიცხვით სამას კაცამდე. აი ამ დროს, როდესაც ყოველ მშრომელ მოქალაქეს ტკბილი ძილით ეძინა, ტრამვაის მოხელეები თავის გაჭირვებულ ყოფა—მდგომარეობაზე ბაასობდენ. თითოეული მოლაპარაკის სიტყვებში ცალკე გაჭირვება, განსაკუთრებული შევიწროება იყო გამოხატული. ჩვენ ამ საგანზე კიდევ მოგვიხდება ლაპარაკი. ახლა მხოლოთ უმთავრეს მოთხოვნილებებს მოვიყვანთ:

1) რვა საათის სამუშაო დღე, ნახევარი საათის დასვენებით.

2) ჯამაგირის მომატება.

3) ბინის ფული.

5) დაშავებულ მუშებს, რომელთაც შრომის უნარი ეკარგებათ ათი წლის განმავლობაში ჯამაგირი ეძლიოს და სხვა.

თფილისის სასტუმროების მოსამსახურეთა მოთხოვნები:

1) რვა საათის სამუშაო დღე.

2) მოისპოს სრულიად ის ბე (ხალოგი), რასაც ხაზეინები სტოლზე მოსამსახურეებიდან ალაგზე დადგომის დროს ღებულობენ.

3) დაარსდეს ჯამაგირის მინიმუმი (15 მან.)

4) წელიწადში სამჯერ ჯამაგირის მომატება.

5) დაკარგულ-გატეხილ ჭურჭლის პასუხის მგებელი მოსამსახურეები არ იყოს.

6) ნისიების პასუხის მგებელი მოსამსახურეები არ იყოს.

7) მიეცეს ბინის ფული; სადაც ეს მოუხერხებელია მნეცეს ხაზეინებისაგან ჰიგიენურათ მოწყობილი ოთახი, რაშიაც ორზე მეტი არ უნდა ცხოვრობდეს.

8) სადილ-ვახშამი და ჩაი ხაზეინების ხარჯზე,

9) სასადილო დრო განსაზღვრული იყოს.

10) მოსამსახურეების მიღებ-დათხოვა მოსამსახურეებითვე ხდებოდეს.

11) წელიწადში ერთი თვის თავისუფლება ჯამაგირით და ადგილის შენახვით.

12) ავათმყოფობის დროს ერთი თვის განმავლობაში ექიმი და წამალი მუქთი და ჯამაგირიც ეძლეოდეს.

13) ყოველგვარი დაჯარიმება მოსამსახურეების სრულიად მოისპოს.

14) ზრდილობიანი მოპყრობა.

15) დიდ დღესასწაულებზე (შობა, აღდგომა, ახალწელიწადი, ნათლის ღება) რესტორანების და სასტუმროების მოსამსახურები თავისუფალი იყვნენ.

16) ფორმის ტანისამოსი მოისპოს.

17) სტოლზე მოსამსახურეებს ეკისრებოდეს ხოლოდ მსტოლზე სამსახური და არა სხვა და სხვა დაწმენდა-ალაგება.

18) არა ნაკლებ 16-17 წლისა მიღებულია არ იქნას.

19) უჯამაგიროთ მიღება მოისპოს; ვისაც 5-10 მან. თვიური ჯამაგირი აქვს მიემატოს 50 %, ვისაც 10-30 მამ.—მიემატოს 25 %.

20) ის ერთი თუმანი ყოველ თვიური ჯამაგირი, რაც შარშან კრებაზე ხაზეინებმა დაადგინეს, მიეცეს მოსამსახურებს.

21) მოისპოს ყულაბი და დაუბრუნდეს, რაც დღემდის გადახდილია.

22) ჯარიმები დღემდის გადახდილი უკან დაუბრუნდეს.

23) ჯამაგირები აუცილებლათ თვის დამლევს მიეცეს.

24) მოსამსახურის დათხოვა ხაზეინმა ერთი თვის ადრე გამოუცხადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოვალეა ერთი თვის ჯამაგირი გადუხადოს.

25) გაფიცვისათვის არავინ იქნას დათხრვნილი და საზოგადოთ პოლიტიკური დამნაშავე თავის ძველ ალაგზე მიღებულ იქმნას.

26) მოისპოს ის საზიზღრობა და ადამიანის ხნეობის გამათახსირებელი საქციელი, რასაც ძალა-უნებურათ, როგორც ხაზეინები ისე საზოგადოებაც, სასტუმროების მოსამსახურეებს ადგნინებენ პროსტიტუტკების მოყვანით.

ამასთანავე ჩვენც ვუერთდებით რუსეთის სოლიალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას და ვთხოვულობთ: სიტყვის, გაფიცვის, კავშირების, კრების, სინიდისის,თ თავისუფლებას პიროვნების და საყოველთაო ბინის ხელ-უხლებლობას; დამფუძნებელი კრების მოწვევას თანასწორი, ფარული, პირდაპირი, კენჭის ყრით განურჩეველათ სქესისა და ეროვნებისა.

—

თფილისის წვრილ ვაჭართა და ხელოსანთა მოთხოვნები

1) მოისპოს პატენტი და ყველა არა პირდაპირი სახელმწიფო გადასახადი. დაწესდეს პროგრესიული გადასახადი შემოსავლის კვალობაზე, მხოლოთ მცირე შემოსავლიანი სრულიათ განთავისუფლდეს სახელმწიფო გადასახადისაგან.

2) შემცირდეს დუქნის ქირები და პირდაპირი ანგარიში შენობების პატრონებთან იქონიონ.

3) დუქნის დაცლა ძალდატანებით არ ხდებოდეს.

4) პოლიციელებს აეკრძალოს სხვა და სხვა საქონლის უფასოთ წაღება.

ამასთანავე ვუერთდებით რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას და ვთხოულობთ: სიტყვის, კრების, ბეჭდვის, გაფიცვის, კავშირების და სინიდისის თავისუფლებას, პიროვნებისა და ბინის ხელ-უხლებლობას; **დამფუძნებელი კრების** მოწვევას საერთო, ფარული, პირდაპირი კენჭის ყრით ყველასათვის განურჩეველათ სქესისა და ეროვნებისა.

—

დ. ნაგომარიდან გვწერენ: (გურია). 27 მარტს ჩვენს დაბასაც ესტუმრენ ყაზახი რუსები და გენერალ ალიხანოვის ბრძანებით დაუწყეს ჩხრეკა-ქოთება დუქნებსა და სახლებს. თუმცა ეგონათ ბევრს რამეს აღმოაჩენდენ, მაგრამ მოტყუვდენ; ვერაფერი აკრძალული ვერ იპოვეს. ეს იყო საღამო ხანს. იმ ღამეს აქვე დარჩენ. მხოლოთ ამ დროს დატრიალდენ მცველი კაზაკები. დაერიენ სოფლებს, ვის ვერცხლის ქამარი მოტაცეს, და ვის საათი; წარმოიდგინეთ, ქვერცხებსაც კი იტაცებდენ სახლებიდან. ეს ამბავი თუმც იმათ უფ-

როსებს აცნობეს დამკარგავებმა, მაგრამ აბა იმათგან რა სამართალს გამოიტანდენ?

გენერალმა ალიხანოვმა აცნობა უმაღლეს მთავრობას, გურია დამშვიდებულიაო; ეს მართალი მხოლოთ იმ მხრით არის, რომ გურულები თავდაჰერილათ იქცევიან ჯერჯერობით, მხოლოთ ამასაც საზღვარი აქვს. მომავალში კი ვინ იცის, საქმე როგორ წავა.

იქიდანვე გვატყობინებენ: ის ცნობა, რომ ვითომ ბიბლიოთეკები გახსნილიყოს, სიმართლეს მოკლებულია. ნამდვილათ ბიბლიოთეკის შენობა თავის სადგომათ გაიხადეს და თითონვე პატრონობენ ჩვენში წეს-რიგის დამცველები.

—

ჩვენ მივიღეთ შემდეგი გამოცემები: 1) ალექსანდრე მესხია: თავგადასავალი, წერილები; მოთხრობები და საუბარი თვითშემეცნებაზე, პავლე აკობიასი, ფ. 25 კ.

2) პ. უმიკაშვილის სახსოვრათ. 1. გამ. ამხ. „ცისკრისა“, № 1. ფასი 30 კაპ.

—

ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი:

66 წლის მოხუცი ქალი, მძიმე ავათმყოფობით დავრდომილი, რომელსაც თავს აწევს 5 წლის შვილი-შვილის ბედ-იღბალი მეტათ გაჭირვებულ მდგომარეობაშია და უსახსრობის გამო ითხოვს შემწეობას.

ადრესი: არსენალის გზატკეცილი (დიდი აღმართი) სახლი № 63, დივანოვის, ბინა № 5. ანასტასია თედორეს ასული მილოდანოვიჩისა.

კორრესპონდენცია

ქუთაისი. დღევანდელ მღელვარე დროს ხოლიტიელთა საკითხმაც წამოაყო თავი, მან ბევრგან მწვავე კამათი, გაცხარებული. სჯა-ბაასი გამოიწვია სატახტო ქალაქებიდან მოყოლებული ჩვენამდე, იქ ამ საკითხს შეურთეს კერძედ წოდებული „მეეზოვეთა საკითხი“ რომლებიც, თუმცა ოფიციალურათ ამ სახელს ატარებენ, მარა ნამდვილათ კი ხოლიტიელთა როლს ასრულებენ ახლანდელ ცხოვრებაში- ამისათვის სადაც ეს ინსტიტუტი არსებობს იქ ქალაქის თვით მართველობებმა ითხოვეს გაუქმებაით იგი.

რაც შეეხება ხოლიტიელთა შტატს, ბევრგან აღძრეს შუამდგომლობა დღევანდელი სახელმწიფო ხოლიტიელთა დაწესებულება გადმოეცეს ქალაქის თვით მართველობებს და ისინი წაუძღვებიან ამ ბასუხის მგებელ საქმესო. ბევრგან ამის შესახებ მკაცრი რეზოლუციები მიიღეს, სამუნიციპალო ხოლიტიის გეგმები შეამუშავეს და უველგან კი დაჟინებით თხოულობენ, რომ ის ერთი იმ საკითხთაგანია, რომლის მოწყობაც ქალაქის თვით მართველობას უფრო შეეფერის, ვინემ სრულიად იხტიბარ დაკრგულ ბიუროკრატიას, რომელმაც კანცელიარული მიწერ-მოწერით უნდა გააკეთოს ეს სახლთან ბირდაბირ დამოკიდულების საქმე.

დიახ, ამ საკითხმა ბევრი ქალაქი მოიარა და დღეს ქუთაური ქალაქის საბჭოშიაც წამოაყენა იგი საგუბერნიო ადმინისტრაციის მეთაურ-დუბერნატორმა. 28 მარტის საბჭოს კრებაზე მისი განცხადება ამას დადებდა: ქალაქში დღეს მშვიდობიანობა დაირღვა, ტარება-გლეჯა გავრცელდა, ქუჩებში უწესობები ხდება. ყოველივე ამას თავის გარემეება უნდა და მე კი ამისათვის ხოლიტიელთა რაზმი ძალიან ცოტა მყავს; ისინი დღევანდელ აუარებელ საქმეებს ვერ ადიან და ამისათვის მოვითხოვ მათი შტატის გაძლიერებასო.

ეს საკითხი, თქვა ქალაქის თავმა, ბევრჯელ იყო აქ დაყენებული, თითქმის ყველა ხოლიტმეისტრები (სამონაზვი, დასოფლური და სხვ.) ამასვე ითხოვდენ, მარა, უსაღსრობის გამო, ყველას უარით ვისტუმრებდით. დღეს კი, მართლაც, სამწუხაროთ ისეთ დროსა და გარემოებებში ვართ, რომ უარის თქმა ადარ გაგვიწყობა და აი რატომ:

დღემდი მშვიდობიანობა იყო, ისეთი აშკარა ტარება-გლეჯა არ იყო, რაგორიც დღეს ხდება დღისითაც კი შუაგულ ქალაქის ქუჩებზე. აქამდი რაგორც იყო ხოლიცია 57 დესეტინაითაც იჯდათ მიდიოდა, დღეს კი ქალაქის მცხოვრებლებმა საკმათ იმატა, ქალაქმაც სიფრცით იმატა: ხუთი ვერსის სიგრძე-სიგანეზეა გაშლილი, 80-დი მსხვილი და წვრილი ქუჩებით და ამოდენა რაიონის მკვიდრის სამსახურს ვერ უდიან. თავხედური ტარება-გლეჯა და ქუჩებში უწესობა კი თანდათან მატულობს, მცხოვრებლების მშვიდობიანობა დაირღვა, შიშიანობამ მოგვეცვა ჩვენ უველანი და ამისათვის უველას გვმართებს მცხოვრებთა დასამშვიდებლათ და წესიერების აღსადგენათ ხელი შეუწყოთ ხოლიციას, თუნდაც ამას ჩვენის მხრით საგრძნობელი ნივთიერი მსხვერპლი დაჯირდეს და რომ დაჯირდება თქმა არ უნდა, რადგან ოცი ახალი დესეტინაების მომატებასთან ძველების ჯამაგირების მომატებაც საჭირო. ამათში 46 უნტრახი დესეტინაი იღებს 12—50 კ. დღიურათ, ხოლო 11 უფრახი—15 მან. თვეში. ასეთი მცირე ჯილდოთი კი, რასაკვირველია, დესეტინაგები ადარ კმაყოფილდებიან და ამისათვის საჭირო მათ ჯამაგირები გავუნაწილოთ.

ეს გაძლიერება ხოლიციელების უკმდება ქალაქს ზედმეტი 5000—6000 მან. წლიურათ. ასე რომ ხოლიციაზე ქუთაისს დაეხარჯება მთელი ბიუჯეტის 15—20% დის.

ქალაქის თავის დაჟინებულ—ხოლიციელების გაძლიერების აზრს წინააღუდგა ქალაქის გამგეობის ორი წევრი: გრ. გველესიანი და კანდელაკი. ამათ ბევრი ამტკიცეს, რომ ოციოდე ხოლიციელის მომატებით ჩვენ ვერც ვერავის დავამშვიდებთ და ვერც ვერავის ტარება-გლეჯას მოვაშლევინებთ. დღეს ხომ საომარი წესებია ჩვენ ქალაქშიაც შემოდებული; ქალაქი სამ ნაწილათაა გაყოფილი და სითითოთ დენერლებსა და მის ჯარებს აქვს ჩაბარებული. იმათ საკმაო ჯარი უავს ჩამორიგებული ქუჩებზე, მათ უოველ ნაბიჯზე შეხვდებით და ხშირათ მათრახების და თოფების კონდახებით ცემას არ აკლებენ მცხოვრებლებს. ასე რომ თუ კი ვისთვისმე უოველივე ესენი შესაძინებელი წამალია.—ამ მხრით ამ საომარ წესების დროს მაინც სრულიათ უზრუნველყოფილნი ვართ და ჩვენი მხრით ამათთვის კიდე ახალი ხოლიციელების, რომლებსაც საზოგადოთ ხალხი უნდობლათ უურებს, მომატება უაღგილოთ მიგვაჩნია. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამას ჩვენი ქალაქის კასის მდგომარეობაც ვერ აიტანს და ხალხის ამ დროს დაბეგვრა ახალი გადასახადებით სრული წინააღმდეგობა იქნება დღევანდელი სერთო მიმდინარეობისა.

რაც შეეხება ბრინციპიალურათ, თვრთო ნიადაგზე ამ საკითხის გადაწყვეტას, ეს 28 მარტის კრებაზე ადარ იქნა წამოყენებული, თუმცა გამგეობის წევრს გრ. გველესიანს ამაზე დაუწერა დასაბუთებული მოხსენება, რომელიც ახლა მას უნდა წარუდგინოს იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს შესამუშავებლათ დღეიდრინდ საჭიროებათა საკითხები.

28 მარტის სააბჭოს კრებაზე კი საკითხი ხოლიციელთა გაძლიერების შესახებ მაინც გადაწყდა მხოლოთ ერთი ხმის უმეტესობით (10 თ. და 9 შავი). მაგრამ ქალაქის გამგეობაში უკვე შევიდა ბრატესტები რამდენიმე ხმახსნისაგან ამ გვარ გადაწყვეტილებაზე და ესენი ხელახლა საქმის გარჩევას ითხოვენ.

ისო.

—

ფოთი. თუ უოველივე მხრიდან, უოველივე კუთხიდან ისმის უკმაუოფილება წეს-წუობიდების წინააღმდეგ, არც აქ არიან ხელდაკრეფილნი და დადუმებულნი. გვეყო ამდენი მოთმენაო,—იძახის ფოთელი, გვეყო ძილი, გვეყო მორჩილება და კარ და კარ სხეისი ბრძანებაო სიარულიო. აქაც შეეგნო ხალხს, რომ ძველებურათ ცხოვრება შეუძლებელია. გაითიცენ მუშები, გაითიცენ მოსწავლეები, გაითიცენ მცხოვრებლები. არა თხოვნებით, არა ჩოქვით და მუდარით, როგორც ზოგიერთებს გონია, არამედ შეერთებული ძალით, ძმობით და ამხანაგობით უნდათ გაკაფონ დღევანდელი ეკლიანი გზა

ცხოვრებისა. მაგრამ ხომ გაგიგონიათ: „ავი კაცი, ადგომასაც ავიაო“,—ასეთ დროში აქაც იჩინა თავი ტრუ პატრიოტებმა და საზოგადო საქმეს ხელს უშლიან. სურთ ძმა-ძმას დაატყობონ და თავისი შენ-ჩემობა გაიტანონ.

ამის შესახებ დროებით მეტს არაფერს ვიტყვი, თავის დროზე მკითხველებს ვიტნობებ დაწვრილებით.

აქაც შემოდებულია საომარ დროის წესები. კაზაკები დიდ ძალ-მომრეობას იჩენენ, ხვდებიან გამვლელ-გამომვლელთ და ცარცვავენ. როგორც ამბობენ შემჩნეული კაზაკები ბასუხის გებაში არიან მიცემულიო.

სხვებს არც ჩვენ ჩამორჩებითო დასძახეს აქაურმა ნოქრებმა და წვრილ ხელოსნებმა. ჩვენც გვინდა ადამიანურათ ცხოვრება, თავისუფლებაო, და გაიფიცენ კიდეც. წარუდგინეს თავიანთ ადებს შემდეგი მოთხოვნები:

1) კვირა-უქმე დღეებზე მაღაზიები და სახელოსნოები დაკეტილ იქნას მთელი დღით.

შენიშვნა: სასადილოები, საჩაეები, სასტუმროები უნდა გაღონ დილის 8 საათზე საღამოს 11 საათამდე.

2) დღიური ვაჭრობა უნდა განისაზღვროს დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

3) საუზმისა და სადილის დროს უნდა მოცემულ იქნას 2 საათი თავისუფლება.

4) ეგლა შეგირდებს და ნოქრებს დღევანდელ ჯამაგირზე მოემატოს 30%.

5) სადურგლოებში (სტოლარებში) მოსპობილ იქნას ნაწრობით მუშაობა და დაწესდეს დღიური ხელ-ფასი მეორე მუხლში მოხსენებული სამუშაო დროით, ერთი მანეთიდან ორ მანეთამდე.

6) ბინის მაგიერ მიეცეს ბინის ფასი.

7) მოისპოს 16 წლისაზე ნაკლების მუშაობა სამაგიტნოსა, სასტუმროსა და სასმელების სახლებში.

8) ეგლა საქმეში უჯამაგირო სამსახურის მოსპობა.

9) სახარაზოებში, მეჩექმეებთან და თერძებთან თექვსმეტ წლისაზე ნაკლებ შაგირდებისათვის დაწესდეს 8 საათის სამუშაო დრო. შეგირდებს უნდა მიეცეს სუფთა საცვლები.

10) სახელოსნოებში უნდა მიღებულ იქმნან არა ნაკლებ ათი წლისა.

11) აკრძალულ იქმნას ისეთი შრომა, რომელსაც ბირდაბირი დამოკიდებულება არა აქვს ხელობასთან.

12) კვირა უქმეებზე ბაზარში ვაჭრობა მოსპობილ იქნას დილის ათი საათიდან.

13) მეხორცეს, მეთევზეს, მეფურნეს მიეცეს მუშაობის ნება კვირა უქმეებზე მხოლოდ დილის ათ საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

14) თექვსმეტ წლისაზე ნაკლებ შეგირდებისათვის იზრუნონ ხაზეინებმა მათ კონებრივ გასაწვრთნელათ (გამოწ. იქნას გაზეთები და სხვ.).

15) კვირა უქმეებზე ვაჭრობანი გაიღოს მხოლოთ 12 საათზე, დამის ათ საათამდე.

16) სადალაქოები უბრალო დღეს უნდა გაიღოს დილის რვა საათზე საღამოს ათ საათამდე. უქმეებზე დაიკეტოს სრულიად.

17) დვინის სასწორებები (სკალები) და თეგზის ვაჭრობები უქმეებზე სრულიად იკეტებიან. ჩვეულებრივ დღეებში კი ვაჭრობა დილის 8 საათიდ. საღამოს 8 საათამდე.

გაიფიცა აგრეთვე ასოთ ამწყობნი და მოითხოვეს ის, რასაც სხვა ქალაქების ასოთ ამწყობნი თხოულობენ. 8 საათი სამუშაო დრო, კვირა-უქმეების წინა დღეს ექვსი საათის მუშაობა.

ეგლა ეს მოთხოვნილებანი დღეს დაკმაყოფილებულია და გაფიცულები თავიანთ ადგილს მუშაობენ.

ჯან.

ქ. სოხუმი. მარილია არა ერთხელ და ორჯერ წყვეთხვს ყურანდ-კაზეთებში თუ რაგორ ზნე დაცემული და გამხეცებული არიან კაზაკები ხალხის „დამშვიდების“ დროს, მარა წანაკითხ-განაგონსა და თვალით ნახულს შორის დიდი განსხვავება არის.

26 მარტს სამასამდე კაზახ-რუსი ჩამოვიდა სოხუმში. 26-დან 30-მდე ისეთი არაფერი მომხდარა, რომ ქალაქში წესიერება დაერღვიოს და ხალხი აელელვებიოს, მარა მაუხედავათ ამისა, 30 მარტს კიდევ ამოდენივე კაზახ-რუსები გამოგვგზავნეს.

მათ მოსვლის შემდეგ კი მშვიდობიანობა, ტოტა არ იოს, შეიცვალა. მოადგა თუ არა გემი ნავთარს, მეფოლუკეებმა უარი თქვეს კაზაკების გადმოეყვანაზე. კერძო კაცების გაფიცვის გამო, სახელმწიფო ნავები ჩაუშვეს და ქვეყნის დამშვიდებელნი იმით გადმობძანდენ ნავთარზე. ჯერ ეველანი არც კი გადმოსულიყვენ, რომ მთრახების ტლაშა-ტლუში გაისმა. ვაი მას ვინც შუა დღეზე ქუჩაში გაიარდა. დღე რომ ასეთი სცენებია, ვდვილათ წარმოიდგენთ, დამე რას უნდა შვებოდენ. ბედნიერი ის არის, ვისაც შუბლზე ორ კაპეიკიანი ჟეშტის კუკარდა აკრავს. ფოჩტის კანტორაში მისვლა შეუძლებელი გახდა, რადგანაც ქუჩა, რომელზედაც ეს დაწესებულება იმყოფება კაზაკებმა გაიკავეს.

მაუხედავათ ნებართვის მოწმობისა, იარაღს ეველას ართმევენ, თუ მოწორება თითონ ისაკუთრებენ, თუ არა და წართგვენ სადც ჯერ არს.

სოხუმის გარშემო სოფლებშიაც დიდი მოძრაობა არის. ხალხი იკრიბება და ერთმანეთს ფიცს აძლევს არ უდალატონ არა შემთხვევაში.

სოხუმის ქალაქის საბჭოში კრებაა დანიშნული, კაზაკების თავ-აშვებულ საქციელის გასახილველათ და ვნახოთ რა ზომებს მიიღებენ.

ივანე თურქია.

—

ქვემო-იმერეთი. ეველგან გაისმის უკმაყოფილების ხმა, ეველა: დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, მასწავლებელი თუ მოსწავლე უკმაყოფილებას აცხადებს თანამედროვე წეს-წყობილების წინააღმდეგ; ეველას რაღაცა აკლია, ეველა რაღაცას ეძებს, ეველა სიახრულით, აღტაცებით ეგებება მომავალ ცხოვრებას! ეველგან, ეოველ კუთხეში მშრომელი ხალხის მოძრაობა ძლიერდება. დღეს ეველგან ხალხი, მოწობაში ადგილია, თავისუფალ ცხოვრებას ეწაფება; როგორც ვიცით, ეს მოძრაობა დღეს სამეგრელოს გლეხობაშიაც გადავიდა. **დ. ნაოლალევში** (სენაკ. მაზრ.) ხალხი ფეხზე დგას, ეველა ოჯახში ძობაზე, სიეეკრულზე და ერთობაზე გაიგონებთ დაბარეს; ეველა სკოლებში შეწეეტილია სწავლა; ხალხი აქაც ჩამოშორდა ადმინისტრაციას, სასამართლოს და თავის თავს თითონ განაგებს!—დიახ, მეგრელები ბანს აძლეენ საერთო მოძრაობას, მეგრელებიც(?) გამოეხმაურდენ.

ამ დღეებში ხონის სამოქალაქო სკოლის შეგირდებმა წარუდგინეს სასწავლებლის მთავრობას თავისი მოთხოვნები. შემდეგ გამოვიდენ ქუჩაში, მივიდენ მარინსკი სკოლაში და ზედმობიანთ თხოეეს მოსწავლე ქალებს სწავლა შეწეეტათ და მათთან ერთათ გასულიეენენ ქუჩაში; პატარა ქალებმა დაუეონებლივ შეწეეტეს სწავლა და სიამოენებით შეუერთდენ თავიანთ ძმებს. აქედან «Дружно товарищи!»-ის სიმღერით გაემართენ მოსწავლეები ორ-კლასიან სკოლისკენ, და შეიკრენ სკოლის ეზოში, სადაც ამათ რიცხვით 600—700 კაცს, შეუერთდა კიდევ ხსენებული სკოლის 100—150 შეგირდი; აქედან „მარსელიეზას“ სიმღერით და ეველი: გაუმარჯოს ერთობას, ძმობას! ძირს ძველი წესწყობილება; გაექრნენ ქალების კერძო პროგიმნაზიისკენ. პროგიმნაზიის მოსწავლე ქალები შეუერთდენ ამხანაგებს და ასე 1000-მდე მოსწავლე ახალგაზდობა გაექანა სახელოსნო სკოლისკენ ეველით: „ძირს პოლიცია! ძირს სიმღვდელობა! გაუმარჯოს აკადემიურ თავისუფლებას!“, ამ დროს სტრაჟნიკებით წინ შეეგება მოსწავლეებს ბოქაული ა. ფა-

დავა. ფალავამ შეაჩერა დემონსტრანტები და თხოვა დაშლილიყვნენ. მოსწავლეებმა ამაზე უარი განაცხადეს და უნდოდათ რომ ნაირათ სახელმწიფო სკოლამდისაც მიეღწიათ, მაგრამ ბ. ფალავამ ტაბიდი სიტყვებით მოსთხო მოსწავლეთა გული, და ისინი დაიშალნენ. ხონის ყველა სასწავლებელში ამ ჟამად შეწყვეტილია სწავლა.

ილია ბახტაძე.

სოფ. მექვენა (ლეჩხუმი). დღეს ისეთი დრო დადგა, რომ უსაქმობა ყველასათვის მომაკვდინებელ ტოდვად უნდა ჩაითვალოს. ყოველი კაცი, დიდი და პატარა, ზნეობრივად ვალდებულია აქტიური მონაწილეობა მიიღოს ეხლანდელ სერთო მოძრაობაში; გამოარკვიოს დღევანდელი უკუღმართი ცხოვრების ცუდი ხერხები, დასახოს წეშმარიტი გზა საქმეთა მოგვარებისათვის და სხვა. ერთი სიტყვით ყველა უნდა ვეცადოთ, ვისაც როგორ გვეხერხება, უშველოთ ჩვენ გაწირვებულ მაძმეს, რომ მისი ცხოვრების ჩარხი, რომელიც აქამდე უკუღმა ტრიალებდა და რომელიც დღეს უკვე წალმა დატრიალდა, უკუღმა აღარ დატრიალდეს. დღეს ძლევა-მოსილი ახალ დიერად „სიოს“ წუალობით ყველა კი კამოფხიზლდა და ყველა გულმოდგინებით შეუდგა თავის ბედკრული ცხოვრების გაუმჯობესებას. მაგრამ მაკარი ის არის, რომ ზოგი იმ დიდი მიზნის მისაღწევად, რომელიც დღევანდელ მოძრაობას დაუსახავს, სწორე გზას ცდება და ისეთ რამე საშუალებებს მიმართავს ხოლმე, რომლებიც სრულიად შეუფერებელი და შეუთანხმებელია ზნეობრივ მოძრაობის იდეალთან. ამ ზოგიერთების მოქმედება შეუგნებელია: იმათ არ ესმით, თუ რა გზას უნდა დაადგენ და რა საშუალებას მიმართონ, რომ გაწირვებულ ცხოვრებიდან თავი დაახწიონ. ამათ წამთ, რომ ერთათ-ერთი საშუალება ეხლანდელ შეხუთულ ცხოვრებიდან გამოსვლისა სტიქიური ძალ-მომრეობაა და ამიტომ ისინი უმეტეს ნაწილათ ამ საშუალებას მიმართავენ ხოლმე. ამ გვარ შემთხვევებში სჭირია და ჯდებულიც არიან შეგნებული ბირები დროზე მიეშველონ და წეშმარიტი გზა უჩვენონ. დღევანდელი მოძრაობის ერთ უმთავრეს დამახასიათებელ თვისებათ ის უნდა ჩაითვალოს, რომ ხალხმა შეაგნო სხვისი პატრონ-პატრონობა, სხვისი მზრუნველობა მისთვის მეტათ სახარალოა, და აი ეს არის მიზეზი, რომ დღეს ამან ასე ბეჯითათ მიყო ხელი თავის საქმეების მოწესრიგებას. ის უკვე დიდი ხნის გამოცდილებით დარწმუნდა, რომ მისთვის ახლანდელი სამართალი უსამართლობაა. ეს სამართალი გაჩენილია მხოლოთ მდიდართა საკეთილდღეოთ და ღარიბ-ბეჩავთა დასაჩაგრავათ.

ამიტომაც არის, რომ დღეს ხალხი, როგორც სხვა ჩვენი ქვეყნის კუთხეებში, აგრეთვე აქაც ნელ-ნელა წევეტს კავშირს სასამართლოებთან და სხვა და სხვა გვარ ურთიერთ შორის აძრულ დავა-სახიერებს შინაურულათ, ძმურათ და ამხანაგურათ ბოლოგებენ. აქ ხშირათ გაიგონებთ მცხოვრებთაგან ამ გვარ ლაპარაკს: „დმერთმა აკურთხოს და ააშენოს მისი ოჯახი, ვინც ჩვენ ამ კარგ გზას დაგვაჭენა! ადრა ვართ, დმერთმანი, ამ სულებში სიარული, კუნთები დაგვაწყდა, და მაინც ვერა გავგვრიგებია-რა. ვერ ვდგრისებიათ ჩვენ დროზე რიგიან სამართალს. ამას თავი დავანებე, ვედარ გაუძლებთ ათასნაირ სუდის მოთხოვნილებას: ეს ბაყაო, ეს „კოპიოს“ ფულაო, ეს ბრისტავის „ბრავონიო“ და ვინ იცის რამდენი რა დავიდარება და ხდათორთი! სულ უბრალო საქმის გათავებას უნდა მოახდომო მთელი შენი სიცოცხლე, უნდა მოალიო თუ რამე გაგაჩნია და ბოლოს კი ვინ იცის რავარ სამართალს გაგიჩენენ! შენ მისი არ გესმის და იმას შენი... ყოველივე სადავო საქმეს ჩემივე მეზობლები მიჩჩენენ, ყველაფერში ითლათ მიყიდავარ და სამართალში ბევრიც რომ დამაკლდეს, მაინც მოგებული ვჩანვარ, რადგან ამდენ ხარჯებსა და ტოენას ვიცილებ თავიდან. უბრალო რამე საქმეზე ათჯერ უნდა მივიდე იმ დასაქცევ სუდში და კიდევ მაინც ვერ გამოვიტან სწორ სამართალს“.

მაგალითები ასე მეზობლურათ საქმის გათავებისა ბევრია ჩვენში და ყოველთვის სასიამოვნო შედეგები მოუვება ხოლმე ორივე მხარდახვრეშ მხარეთათვის...

ამ დღეებში აქ ჯარმა 70 სალდათისაგან შემდგარმა ამოიარა ორი თეთრის უფროსობით. ჯარის-კაცებს მოწეენილობა და დაქანცულობა ეტეობოდათ. როგორც ისმის, ეს ჯარი ცაგერში დაუბინავებიათ.

აქაური.

ალავერდის სპილენძის სადნობი ქარხანა. ალავერდის ქარხნის მუშები შეეკრიბენით და მოვიდაბარაკეთ ჩვენი გაწირვებული ცხოვრების გაუმჯობესობაზე. ვითხოვეთ: ჯამაგირის მომატება, სამუშაო დროს შემცირება; ერთათ ერთ სავაჭრო დუქანში საქონლის გაიაფება; ჯარიმის მოსპობა და ბანაზე მოწეობა. ექვსი მუშის ზარალის დროს სამი მანეთით გვაჯარიმებენ.

ჩვენ თხოვნას ეურე არავინ ათხოვა. გვითხრეს: რადგანაც ფინანსთა სამინისტროდან არ მოსულა ოფიციალური მოწერილობა მუშების ჯამაგირი მოუმატეთო, ამიტომ თქვენი თხოვნის დაკმაყოფილება შეეძლებელი არისო. ბერეთვე არც ის მოუწერიათ მუშებს სამუშაო დღე შეუმცირეთო, და ჩვენ საიდან შეგვიძლიან შევამცირთო.

ჩვენ ვთხოულობდით: გვიშველეთ რამე, ვიხრჩობითო, ისინი კი მინისტრისკენ გვითითებდნენ და მუშაობის გაგრძობას გვირჩევდნენ. ნახევარი საათის შემდეგ ჩვენ ქარხნის დირექტორს წარვუდექით იმავ მოთხოვნილებით. დირექტორმა ითხი დეპუტატი მოგვთხოვა და ამორჩევა აღარ გვაცალა. დაწერა კარტანდაში: „ვინც მუშაობას არ დაიდგება კამორიცხული იქნება სამსახურიდანო“ და გაგვგზავნა. ეს განცხადება ჩვენ ვაკლიეთ. მაშინ მთარბინა დირექტორმა ხალხთან და ჯიხის ქნევით დაგვემუქრა: „ვინც მუშაობას არ დაიწეებს ამ ჯიხით თავს გაუტეხო!“ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი მაშინვე გამორიცხა და აუგრძალა ფურნიდან და დუქნიდან საქონლის მიცემა. კამორიცხულთ გარდა ეველამ დაიწეო მუშაობა. დანარჩენ ამხანაგებში ზოგი სადმოს დაითხოვეს, ზოგიც მეორე დღეს და ზოგი მესამეს. ჩვენ ვიჩივლეთ სააქარხნო ინსპექტორთან. მოვიდა ინსპექტორი, შეეკრიბა უფროსების მთელი კომისია: დირექტორი, სათლქო ინჟინერი, მაზრის უფროსი, ბოქაული და სამი კაცი ჩვენგან. კომისიას გვითხრეს შრიგებას; ჩვენ კი ვთხოულობდით ერთი თვის ჯამაგირს და მოწმობას, რომ ქარხანაში გვემსახურა. ერთ მუშას დირექტორმა უთხრა: მე არ შემიძლია შენი ქარხანაში დატოვება, რადგანაც მოწეთე იყავი ჩემი საქმე რომ არჩეოდა! ინსპექტორმა გვითხრა: მე არა მაქვს უფლება ერთი თვის ჯამაგირი წინ და წინ მოვაცემინო ქარხნის მთავრობას, იჩივლეთ და მომრიგებელი მოსამართლე გაარჩევს საქმესაო. გაეგაზრეს დილიდან სადამომდი და არაფერი სახეირო არ გაარიგეს.

შინაური მიმოხილვა.

ბევრი საკვირველი რამ ხდება ამ ჩვენ დალოცვილ ქვეყანაში; აგერ გაიხედავთ, და გაოცდებით, რომ გუშინდელი ფეოდალი, ერთი იმ ჩვენი დროის „რაინდთაგანი“, რომლის ტიპი უკვდავ ყო ეგ. ნინოშვილმა, დღეს ხალხის, გაჰივრებული გლეხ-კაცობის მეგობარი გამხდარა, და ხატზე და ჯვარზე ფიცულობს, რომ იგი ხალხის ერთგულია, რომ იგი უზომო სიყვარულით არის შებურობილი ძონძებში გახვეული გლეხებისადმი. მოდი და მას შემდეგ ნუ აგიყუჩდება გული, ნუ აგიცრემლდება თვალები? ახლა გაიხედავ მეორე მხარეზე, და იქ თქვენ დაინახავთ მომწიფებულ, დიპლომიან ვაჟბატონს, რომელსაც გუშინ თავში არავითარი აზრი არ ქონდა, მიმართულება მისთვის არ არსებობდა, არავის არ ემხრობოდა და საჯაროთ გაიძახოდა, რომ არ ვიცი ვის მივემხროო, და დღეს

კი გამოსულა საზოგადოებრივი მოქმედების ასპარეზზე და მეთაურობას კისრულობს, ხელმძღვანელი ხდება. საიდან, როგორ ხდება ასეთი ცვლილება? ნუ თუ გუშინდელ რაინდს შეუყვარდა გლეხი? ან უაზრო და ყოველგვარ მიმართულებას მოკლებული ადამიანი ერთბაშათ ასე გამოიცვალა? რასაკვირველია, რომ არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა, მხოლოთ გარემოება გამოიცვალა, სხვა ჭარმა დაბერა. და ეს ვაებატონები ხედვენ, რომ დღეს ძველებურათ დროს ტარება აღარ გამოადგებათ. საჭირო ხდება, რომ ისინიც აყვენ ხვის ფეხის ხმას, რათა საზოგადოების ყურადღება დაიმსახურონ, რომ ვითომც ისინი ხალხისთვის თავდადებული არიან! და აი გამოდის, რომ როგორც გუშინდელი რაინდი, ისე ის, ვისთვისაც აზრს და მიმართულებას არასოდეს არავითარი ფასი და მნიშვნელობა არ ჰქონდა, დღეს ხალხის მსხნელებათ რაცხვენ თავის თავს. პირველი შეხედვით, ესენი არც კი ტყუიან: ისინი ეროვნების დამცველები არიან; იმათ სურთ, რომ საქართველო მარტო ქართველი ხალხისთვის იყოს, განურჩევლათ წოდებისა და ხარისხისა. წარმოიდგინეთ, ისინი ისე გულუხვი არიან, რომ საქართველოს და ქართველი ერის ბედნიერებისათვის ავტონომიასაც კი თხოულობენ! აბა, თქვენ რა იცით, თუ რა მოზიბლავი ძალა აქვს ამ სიტყვას! ვინც არ დასწრებია თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის საგანგებო კრებას, რომელიც ამ ათი დღის წინეთ მოხდა თფილისში, იგი ვერ წარმოიდგენს იმ აღფრთოვანებას, რომელსაც ამ სიტყვის გაგონება იწვევდა ქართველ ნაციონალისტების გულში. სწორეთ საკვირველი იყო ეს კრება! აქ თითქო უენოებმაც კი ხმა ამოიღეს. წარმოიდგინეთ იმათაც კი ახადეს საცობაგეს, ვინც მთელი წლების განმავლობაში მარტო იმის მეცადინეობაში იყვენ, რომ ქართული ენა, ქართული ლიტერატურა და საერთოთ ქართული აზროვნება ჩაეკლა, დაეხშო. აი ესენი ახლა მოსარჩლეობას უწევდენ ქართულ ენას და ქართულ ლიტერატურას! აქ იჩენდენ გამბედაობას და თავგანწირვას, დებდენ სამშობლოსათვის თავს. ვინ მოთვლის რას არ პირდებოდენ ქართველ ხალხს, იმ ხალხს, რომელსაც ისინი მთელი საუკუნოების განმავლობაში არბევდენ და ანადგურებდენ. ჩვენ არ უარვყოფთ, რომ შეიძლება ორიოდე პირი აქაც ერია ისეთი, რომლებსაც მართლა გულწრფელათ სურდათ ხალხისთვის სიკეთე, მაგრამ ჩვენ იმათ შესახებ არ ვლაპარაკობთ. ისინი მხოლოთ წვეთია ამ ზღვაში. აი ვინ არიან ისინი, ვინც ქართველ ხალხს ბედნიერებას პირდება, ვისაც მისთვის ავტონომია სურს! მაშ, თქვენ არ თანაუგრძნობთ ავტონომიას, მაშ, თქვენ არ გინდათ, რომ ჩვენ ხალხს ავტონომია მიანიჭონო, შეიძლება დაგვეკითხონ ჩვენ ზოგიერთები. ამაზე ჩვენ გადაჭრით უნდა ვუპასუხოთ, რომ ჩვენ ავტონომიის მომხრე ვიქნებით მხოლოთ მაშინ, როცა ამას თვით ხალხი მოითხოვს. მანამ კი ჩვენ ავტონომიის წინააღმდეგი ვართ. უნდა იცოდეთ, რომ დღეს ხალხი უწყლოგანი აღარ არის, რომ მას დღეს აღარ ესაჭიროება აპეკუნები. სწორეთ იმით არის დიდებული დღევანდელი წამი, რომ დღეს ჩვენ აშკარათ ვხედავთ ხალხის მომწიფებას. ამიტომ დღეს ხალხის დაუკითხავათ არავის უფლება არა აქვს მისთვის რაიმე ითხოვოს, ან მისი სახელით სადმე იშუამდგომლოს. მეორე მხრით, დღევანდელ პირობებში მშრომელი ხალხის ინტერესი სრულებით იმას არ თხოულობს, რომ საქართველოს ცალკე ავტონომია მიენიჭოს; პირიქით დღეს ისეთი დროა, როცა მთელი მშრომელი ხალხი უნდა შეერთდეს და საერთო მტერს წინააღმდეგ შეერთებული ძალით მიიტანოს იერიში. ერთი სიტყვით დღევანდელ პირობებში ავტონომიის მოთხოვნა არათუ უაზრობაა, მავნებელიც იქნება მშრომელ ხალხის ინტერესებისათვის. თავის თავად იგულისხმება, რომ არავითარ სერიოზულ მნიშვნელობას არ ვაძლევთ თავად-აზნაურობის დადგენილებას; იგი ისევე ფუჭია როგორც ჩვენი ნაციონალისტების სხვა მრავალი ოცნებები. ჩვენ ამაზე იმიტომ შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება, რომ აქ ბრძენმა „ივერიამ“ „ეროვნულ-პოლიტიკური მოწიფების და გონიერების“, „შესანიშნავი სიფხიზლის და ცნობიერების“ („ივერია“ № 43) საუნჯე აღმოაჩინა, და ბოლოს ისიც დაურთო, რომ „მხოლოთ ოთხი ხმა აღმოჩნდა საქართველოს ავტონომიის მოწინააღმდეგეო.“ ამაზე მეტი სიყალბე შეუძლებელია! და მერე ვის ატყუილებენ ეს ვაებატონები? კარგათ დაფიქრდით, ვისთან გაქვთ საქმე, ან ვისზე ამყარებთ თავის აზრს. კარგია კიდევ, რომ რამდენიმე დღის შემდეგ იმავე გაზეთის მეთაური წერილში იყო დაბეჭდილი ერთი ფრიად საგულისხმიერო საბუთი, რომელიც აშკარათ მოწმობს, თუ როგორი უდროვო ნასკვნის გამოსკვნა ცოდნია „განახლებულ ივერიას“.

ამ მხრით მისთვის უფრო საგულისხმიეროა თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას გვერდში ამოვუყენოთ საქართველოს მეორე კუთხის, ცნობილი თედორე ჟორდანიას სამშობლოს, თავად-აზნაურობა კრება, რომელიც ამას წინეთ მოხდარა დ. ზუგდიდში მაზრის წინამძღოლის თ-დ დ. დადიანის, თავმჯდომარეობით. ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ თანაუგრძნობენ სამეგრელოს თავად-აზნაურნი საქართველოს ავტონომიას, ე. ი. ქართულ ენას, ქართულ ეკლესიას და სხვა ამისთანა ეროვნულ საგნებს, ხოლო ის კი საკმარისათ გამოაშკარავდა, თუ როგორ უყურებენ ისინი ქართველ გლეხებს და იმათ დღევანდელ გამოფხიზლებას. კრების დაწყებისთანავე თავმჯდომარეს განუმარტავს თავად-აზნაურობისათვის გლეხების მოძრაობის ხასიათი და სხვათა შორის აღუნიშნავს, რომ ეს მოძრაობა „სრულ განადგურებას უქადის თავად-აზნაურობასო“. —დღეს ჩვენი გლეხობა—უთქვამს მას—უგუნურ და გადავარდნილ ყაჩაღ პროპაგანდისტების წყალობით, ცეცხლითა და მახვილით გალაშქრებულა თავად-აზნაურობაზეო“. («ცნ. ფურ.» № 2791). კრების მიზანი იყო რაიმე საშუალება გამოენახათ გლეხების დასამშვიდებლათ. ამ კრებაზე ყოფილან ისეთები, რომელთაც ესმით გლეხების დღევანდელი მოძრაობის მიზეზი და მის მოსასპობათ სასტიკი ღონისძიებათა ხმარება სრულებით უსაფუძვლოთ მიაჩნიათ (ვ. ნ. ალშიბაია და ი. მეუნარგია და თ-დი მ. კ. დადიანი). ხოლო კრების უმრავლესობის შეადგენენ ისინი, ვისაც სასტიკი, ჯოჯოხეთური ზომებით სურს დღევანდელი მოძრაობის ჩაქრობა. ამათ შორის თავი უსახელებია და ვლ. ალშიბაიას, თ-დ მენგრელსკის მამულების გამგეს. აი რა უთქვამს ამ ვაებატონს: „გლეხს დღეს არაფერი გაჭირება არ აღგია. იგი ცხოვრობს სრულ კმაყოფილებში, და სამწუხაროთ ვერ შეუგნია თავისი ბედნიერი მდგომარეობა, აყოლია ფეხის ხმას და დაგდომია საზიზღარ გზას. მისი მდგომარეობა კარგია და კიდევ უკეთესი იყო წარსულში. უნდა ვიტიროთ და ტჩოქით მოვიხსენოთ ის თავად-აზნაურები, რომელთაც გლეხებს ნდობა და ერთობა გამოუცხადეს. **როდესაც დაიწვება ერთი აზნაურის და თავადის ოჯახი, უნდა დაიწვას ასი გლეხის ოჯახი? როდესაც მოკლული იქნება ერთი ჩვენგანი, უნდა მოიკლას ათასი გლეხი: მათი დამშვიდება შეიძლება მხოლოთ მაშინ, როცა აქ იჭექ-იგრიალებს თოფ-ზარბაზანი!**“ ასე ლაპარაკობდა ბ-ნი ვლ. ალშიბაია თავად-აზნაურობის კრებაზე, და კრების უმრავლესობაც სწორეთ ამასვე თხოულობდა! ალშიბაიას სიტყვების გარმატება საჭირო არ არის; მე მხოლოთ აი რას ვიტყვი: ბ-ნი ვლ. ალშიბაია, რომ „თბილისის

გუბერნიის თავად-აზნაურობის კრებებს დასწრებოდა და, იგი იმ ოთხი პირის რიცხვში არ დარჩებოდა, რომლებიც ავტონომიის წინააღმდეგი შეიქნენ.

ერთ თეთრ კენჭს ამავე ავტონომიის სასარგებლოთ უეჭველათ ახლანდელი ქუთაისის ქალაქის თავი, ბ-ნი დ. ლორთქიფანიძეც ჩაუგდებდა ყუთში ჩვენ ნაციონალ-დემოკრატებს. მაგრამ ეს იმას სრულებით არ ნიშნავს, რომ ამ ვაჟბატონსაც უყვარს თავისი ერი, თუნდაც ისინი, ვინც იგი ამ თანამდებობაზე აირჩიეს. დღეს ვინ არ იცის, თუ როგორ იცავს პოლიცია მცხოვრებლების ინტერესებს, თუ როგორ ფეხქვეშ თელავს იგი ყოველგან ყოველგვარ ადამიანების ღირსებას, თუ რა ზომებს ხმარობს იგი მშვიდობიანი ხალხის წინააღმდეგ. ამის მაგალითი თვით ქუთაისის ქალაქის თავსაც წინ ჰქონდა, თებერვლის ამბების შემდეგ, უფრო შორს რომ არ წასულიყო. მაგრამ ვინ ბ-ნი ლორთქიფანიძე და ვინ ქალაქის მცხოვრებთა ინტერესების დამცველი! განა იმისთვის წამოჯდა იგი ქალაქის თვითმართველობის სავარძელზე, რომ მცხოვრებლების ინტერესებისათვის ეზრუნა? ბ-ნი ლორთქიფანიძე დიდი ხნის ქუთათური ადვოკატი იყო, რომლის მოღვაწეობა იმერულ ხრიკებზე იყო აშენებული, და როცა ამგვარ მოღვაწეობისათვის მოიშალა და ჩვეულებრივი მოქმედება აღარ შეეძლო, მაშინ წამოსკუპდა ქალაქის თავის სავარძელზე. თუ როგორ აირ-დაირია ქალაქის საქმეები ამის შემდეგ, თუ მისგან და ბ-ნ ზდანოვიჩისაგან შემდგარი ბრბო სისტემატიურათ ატყუილებდა და ძარცვიდა ქალაქს, ამის უტყუარი საბუთები დღეს ყველა ჩვენ ხელშია, მაგრამ სამწუხაროთ დღეს ამისთვის არ გვცალია. დღეს აგივე მატყუარა მოღვაწე გამოსულა და ქვეყანას არწმუნებს, რომ ჩვენი დამცველი და პირში სულის ჩამდგმელი პოლიცია არისო და ჩვენ იგი უნდა გავამრავლოთ და დიდი ჯამაგირები დაუნიშნოთო; მათვის ჩვენი სისხლით კვება არ კმარა, საჭიროა კიდევ ქალაქის მცხოვრებთ ლუკმაც გამოაცალონ პირიდანო. ბ-ნ ლორთქიფანიძეს ამაში ბანი მისცეს 10 ხმოსანმა, და იმათ შორის ერთმა სასამართლოს უწყების მოხელე ჩინოვნიკმა, ბ-ნმა ციციანოვმა! ეს ყოველივე საგულისხმიეროა: სასამართლოს წარმომადგენელ პოლიციის გაძლიერებას ცდილობს. აი რათ გადაიქცა დღეს სასამართლო, აი რა დაღი დაასვა მას ადმინისტრაციის ოპეკამ. დროა ყური გამოიფხეკონ ქუთაისის მცხოვრებლებმა! დროა გაახილონ თვალები და დაინახონ, თუ ვის აბარებენ და ვის ირჩევენ ისინი თავის ინტერესების დასაცველათ.

ფარი.

რუსეთის ქრონიკა

მოსკოვში, პალის ქარხანაში მოკლულ მუშის დასაფლავების დროს, ეკლესიასთან მოგროვილ დამსწრე ხალხს გამოაკლდა ვიღაც კაცი და პროსპექტისკენ გაემართა. უცებ მოისმა ყვირილი: „ცემეთ მაგასო“. რამდენიმე კაცი დაედევნა წამავალ უცნობ კაცს. უკანასკნელმა ძლივს გადაირჩინა თავი გაბრაზებული ხალხისაგან. როგორც ამბობენ უცნობი კაცი ჯაშუში მუშა ყოფილა.

—

ლიტერატურული ფონდის თავმჯდომარემ, პ. ი. ვეინბერგმა შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა „ს. ო“.-ში: „მოვალეთ ვრაცხ თავს გამოვაცხადო, რომ მწერალთა კავშირი აღარ განახლდება. ამის შესახებ შუამდგომლობა არ შეიწყნარეს. ჯერ კიდევ სვიატოპ.-მირსკის დროს აკრძალეს მწერალთა კავშირი, მარა მე მხოლოთ 25 მარტს მაცნობეს ეს ამბავი“.

—

ამ ათი დღის წინათ დახავსებულმა ბიუროკრატიამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი უვარგისობა. პეტერბურგის კონსერვატორიიდან გააძევეს საუკეთესო პროფესორი, გამოჩენილი კომპოზიტორი რიმსკი-კორსაკოვი. მიზეზი ის იყო, რომ კორსაკოვმა გულადათ აღიარა ახლანდელი წეს-წყობილების უვარგისობა და კერძოთ აღნიშნა რომ აწ არსებული რეჟიმი მუსიკალურ ხელოვნებასაც აჩენს თავის დაღს და შესამჩნევათ აფერხებს ხელოვნების განვითარების საქმეს. დილეტანტმა ბიუროკრატებმა იტკიცეს ასეთი აზრი პროფესორისა და მხცოვანი კომპოზიტორი და მასწავლებელი, მთელი მუსიკალური სკოლის დამაარსებელი, გააძევეს. ბიუროკრატიის ასეთმა თვითნებობამ მთელი აურ-ზაური გამოიწვია. ადრესებს რიმსკი-კორსაკოვის მიმართ დასასრული არა აქვთ, მთელი რუსეთის საზოგადოება პატივის ცემას უცხადებს მას. საუკეთესო მოწაფეები თავს ანებებენ კონსერვატორიას და ზიზღს უცხადებენ ბიუროკრატიულ მთავრობას.

—

კრასნოიარის ხალხის განათლებაზე მზრუნავ საზოგადოებამ გადაწყვიტა აღძრას კითხვა პოლიტიკურ დამნაშავეთა განთავისუფლების შესახებ. ერთმა ორატორთაგანმა თქვა: „ვცეთ პატივი ხალხის საქმისთვის წამებულს, რომელთაც თავის ტანჯვით და გვამებით გაგვიკაფეს გზა უკეთესი მომავლისაკენ. მათ გააღვივეს ჩვენ გულში თავისუფლების ნაპერწკალი და შეგვმატეს ძალა უფლებათა მოპოვებისთვის საბრძოლველათო“. დამსწრე საზოგადოება წამოდგა და ხანგრძლივი აღტაცებული ტაშით შეეგება ორატორის მოწოდებას.

—

ვარშავის გუბერნატორმა აკრძალა რევოლვერებით ვაჭრობა.

—

ვარშავაში, ერთ-ერთ სასაფლაოზე, სამარხ აკლდამაში იპოვეს ასაფეთქი ყუმბარების საწყობი, სადაც 80-ზე მეტი ყუმბარა ინახებოდა. ბევრი შემჩნეული კაცი დაატყვევეს.

—

რეველში ამოუჩენიათ საიდუმლო სტამბა, რომელიც მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციებს ბეჭდავდა.

—

რიგაში ქუჩის უწესოება თან-და-თან იზრდება. ხშირათ გაისმის ქუჩებზე რევოლვერის ხმა, ხალხი აქა-იქ გროვდება და ქალაქის დარბევას აპირებს. პარასკევიდან მოკიდებული ქუჩებს ჯარის კაცები იცავენ. ქალაქში იპოვეს საიდუმლო სტამბა, სადაც ნება დაურთველ პროკლამაციებს და წიგნებს ბეჭდავდენ. მუშათა გაფიცვა, რომელიც თითქო შეწყდა— ხელ-ახლა ედება ქალაქს; გაიფიცენ გემების ამშენებელი მუშები. ნავთსადგურის ცხოვრება შეჩერდა.

—

მოსკოვში, 19 მარტს, იმ სახლს, სადაც ექიმები შეკრებილიყვენ, შემოესია ბრბო, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა დარბაზში შესვლას. როცა უარი განუცხადეს ბრბომ დაუწყო მტვრევა და მსხვრევა ფანჯრებს და კარებს. წესიერება პოლიციამ აადგინა.

—

18 მარტს ჟანდარმების განყოფილების უფროსმა ცნობა მიიღო, რომ ეკატერინოსლავში საიდანდაც მოსულიყვენ 3 გამოჩენილი აგიტატორი და დაბინავებულიყვენ კეროსინის ქუჩაზე, კურაკინის სადგომში. მყისვე ბრძანება მისცეს პოლიციელებს დაეტყვევებიათ ზემოხსენებული პირები. ნაშუადამევის 1 საათზე პოლიციელების და ჟანდარმების გაძლიე-

რებულმა რაზმმა ალყა შემოარტყა აგიტატორების ბინას. გარდა ამისა გზაში დააყენეს გადაცმული პოლიციელები. როცა შიგ მყოფებმა გაიგეს გარს შემოგვარტყმიანო, გამოვარდენ გარეთ და დაუწყეს სროლა ჟანდარმებს და პოლიციელებს. დაჭრეს შტაბ-როტმისტრი როგოვსკი და ერთი ჟანდარმის უნტერ-ოფიცერი. აგიტატორები გარბოდენ და თან სეტყვასავით აყრიდენ ტყვიას ჟანდარმებს და პოლიციელებს. თუმცა სახლი გარს შემორტყმული იყო მარა მათ მაინც მოახერხეს გაქცევა. ალაყაფის კარებთან გაჩერებული ჟანდარმები და პოლიციელები ცუდ მდგომარეობაში ჩავარდენ: სროლა არ შეეძლოთ, რადგან ეშინოდათ თავისიანებისთვის არ მოეხვედრებიათ.

—

16 და 17 მარტს ვილნოს პალატამ განიხილა შემდეგი პოლიტიკური საქმეები:

1) კივა და იოსელ რავიკოვიჩებისა, რომელთა ბრალდებოდა არსებული წესწყობილების დასამხობად წამქეზებელი მოძღვრების გავრცელება.

2) გლეხი ფილიპე სლობოდსკისა, რომელსაც მთავრობის წინააღმდეგ ამამღელვარებელი თხზულებების გავრცელებას აბრალებდენ.

3) კარასიკის, ბრანდარტის, კარტავენკოს, დემეხოვსკის და კოზიოლისა. ამათ ბრალდებოდა მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვების წამოთქმა და აკრძალული თხზულებების გავრცელება.

4) აზნაური კაზიმირ ჩაპინსკისა, რომელსაც ბრალდებოდა ახლანდელი წესწყობილების საწინააღმდეგო მოძღვრების ქადაგება.

—

18 თებერვალს ხარკოვის პალატამ გაარჩია ალექსანდრე სკვორცოვის საქმე. სკვორცოვს ბრალდებოდა „გლეხების მიმართ წერილების“ გავრცელება სოფლებში.

ბრალდებული გაამართლეს.

უცხოეთის ქრონიკა

გერმანია. რუსეთის დღევანდელმა მოძრაობამ ორათ გაყო ევროპის თანაგრძნობაც. ბურჟუაზიული ევრობა ყოველი ღონით ცდილობს დაეხმაროს რუსეთის თვითმპყრობელ მთავრობას, სამაგიეროთ ევროპის მთელი პროლეტარიატის თანაგრძნობა მიმართულია რუსეთის მუშათა მოძრაობისაკენ, რომელმაც დღეს თუ ხვალ უნდა დაამარცხოს არსებული წესწყობილება. ევროპის ორათ დანაწილებას საკმაოთ გვიხატავს გაზ. „ს. ტ.“-ს ბერლინელი კორესპოდენტი:

„გერმანიაში უცხოელები არ არიან კანონით დაცულნი ბოლიციურ თვითნებობისაგან, და ის რუსები, რომელთაც რამე კავშირი აქვთ რუსეთის დღევანდელ მოძრაობასთან, მუდამ დენაში არიან.

გერმანიის მთავრობა არა თუ სრულ თავისუფლებას აძლევს და ყოველგვარ დახმარებას უწევს გერმანიაში რუსეთის საიდუმლო ბოლიციის აგენტებს, არამედ თვითონაც დიდ ფულს ხარჯავს გერმანიის საიდუმლო ბოლიციის განეოფილებისთვის, რომელიც განსაკუთრებით მიჩენილია რუსებს თვალყურა ადევნოს. თუ ბერლინში მცხოვრები რუსი რამე მონაწილეობას იღებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში, მას არ შეუძლია დამშვიდებული იყოს. მისი წერილები ფოსტაში ან იხსნება ან იკარგება, მოსამსახურეებს იეადაგენ, ჯაშუშები გვალ-და-გვალ სდევენ, თვალყურს ადევნებენ ყოველ მის მოძრაობას, ვისთან დადის, სად დადის, ვის ხვდება რესტორანებში—სხვან მისი ბინის წინ რომელსამე სამაგიტნოში და თვალყურს ადევნებენ შემსვლელ-გამომსვლელთ. გამოდის სახლიდან თუ არა, იცის რომ რომელიმე ჯაშუში მას თვალიდან არ აშორებს. შედის მეგობართან და ფიქრობს, რომ თავისი წვეთით მან უკვე არა საიმედოთ გახადა ის ბოლიციის თვალში. ვინც მასთან შედის, ის ხომ განსაცდელში იგდებს თავს. ელაბარაკება ვისმეს რესტორანში და თვითეულ სტუმართაგანში, რომელიც მის მახლობელ სტოლთან ზის ხედავს ჯაშუშს, მის ყურსაგდებათ მოსულს. მოდის ელექტრონის ტრამვაითა და თვითეულ შემომსვლელს ეჭვით შეჰქერის: ჯაშუში ხომ არ არისო,—და ჩამოდის თუ არა ტრამვაიდან უკან იქცევა, ხომ ვინმე მგზავრთაგანი არ გადმოვიდა მასთან ერთათ და არ დაედევნა მას. ერთი სიტყვით მისი მეცადინეობა ამაზეა მიმართული, რომ როგორმე ჯაშუშის თვალ-ყურის დევნიდან თავი გაითავისუფლოს.

გერმანიის მთავრობას უკეთესათ მიაჩნია არ „**ბასცეს**“: ის მხოლოთ **აგზავნის მას რუსეთის საზღვარზე,** სადაც გაგზავნილი ძლევა ხელში რუსეთის მთავრობას. ასე აგზავნებიან რუსეთის საზღვარზე „შრავალი დეზერტირები (გაქცეული ჯარის კაცები) ან იცნი, ვინც სამხედრო სამსახურს გაურბიან, აგრეთვე უბასპორტო რუსი-ემიგრანტები, განსაკუთრებით თუ მათ ფული აკლიათ. გაბარულები უფრო ადვილათ იმალებიან რუსეთში, სადაც ბოლიცია ნაკლებათ დახელოვნებულია; მას უფრო ეადვილება გერმანიის საზღვრამდე მიღწევა და მისი გადასვლა, ვინმე შემდეგ, გერმანიის საზღვრებში, ბოლიციელისაგან თავის დაფარვა.

გერმანიის მდიდართა კლასი ადვილათ ურიგდება ბოლიციის ასეთ თვითნებობაბის. კონსერვატიული პარტიები ენერგიულ დახმარებას უწევენ გერმანიის მთავრობას, რაცა ის სისტემა ზომების დებულობს არა კეთილ საიმედოთ ცნობილ რუსების წინააღმდეგ. ძლიერი კათოლიკეთა ცენტრი ოფიციალურ გაზეთის „გერმანიის“ ფურცლებზედაც კი ცხადებს თავის მოთავეთა პირით, რომ მთელი ქვეყნისათვის მაგნეთ მიაჩნიათ უველა ის რუსები, რომელთა წინააღმდეგაც სისტემა ზომების იღებენ. თავის-უფალ-მოაზრე ბურჟუები ბოლიციური თავის ნებობისათვის გმობენ მთავრობას მხოლოთ სიტყვით და ამით ათავებენ თავიანთ პროტესტს, ამასთან უთუოთ გაბეზრებენ დევნილ რუსებს და მათ მეგობარ უკიდურეს მემარცხენე გერმანელებს. გოლათი (უზარმაზარი) სახელმწიფო საჭიროა შეძლებულთა კლასისათვის; ისინი, შეძლებულნი, ყოველ წელს უფრო და უფრო ქედს იხრიან მისი სიდიადის წინაშე. 1848 წლის მებრძოლთა მოდგმა ურიგდება ადამიანის და მოქალაქის უფლების შემავიწროებელ უსაზღვროებს ზომებს.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, მისი წარმომადგენლები რეიხსტაგში, მისი პუბლიცისტები და იდეტორები, აი ვინ არიან გერმანიის მთავრობის მიერ დევნილ რუსთა მეგობრები. რის გაკეთებაც უნდა სურდეს, რაც უნდა ესაჭიროებოდეს დევნილი რუსი მიდის მხოლოთ ამასთან. აქ მას ეგებებიან სიამოვნებით, დებულობენ გულწრფელათ, მზათ არიან ყოველგვარი დახმარება გაუწიონ.

გერმანიის მოწინავე შებრძოლი პროლეტარიატის წევრები—ესენი მისი გულწრფელი მეგობრებია, რომლებიც მეგობრობას საქმით უმტკიცებენ, რომლებიც არ ერიდებიან განსაცდელსაც კი მისი გულისათვის. კენისბერგის პროცესზე სატუსალოში დამწყვდევა გადაუწყვიტეს გერმანიის ქვეშევრდომი იმისთვის, რომ იმათ დახმარება აღმოუჩინეს თავის რუს-მეხანაგებს საზღვარ-გარეთ გამოცემულ აკრძალულ დიტერატურის რუსეთში საიდუმლოთ გატანის საქმეში.

ამას შემდეგ გერმანიის მუშათა პარტიის ბრემენის პარტეიტაგმა დაადგინა და სავალდებულოდ გაუხადა პარტიის წევრებს შემწეობა აღმოეჩინა რუს-ამხანაგებისათვის.

ამ ნაირათ, გერმანიის მთავრობა მხლობელ მონაწილეობას იღებს რუსეთის თანამედროვე ცხოვრებაში და სდიდარბობს ცრობს რუსეთსა და გერმანიის რევოლუციებს შორის. გერმანიის პროლეტარიატი კი რუს-ამხანაგებს უცურებს, როგორც მადალ იდეალებისა და მთელ კაცობრიობის მომავალ განვითარებისათვის მოწინავე მებრძოლთ, როგორც მსოფლიო დაშქრის მოწინავე რაზმს ჭეშმარიტ პროგრესისათვის ბრძოლაში, თავისუფლებისა და სინათლისაკენ მისწრაფებაში.

ერთიცა და მეორეც თავის საკუთარ საქმეთ თვლის რუსეთში ამტკიცარ ბრძოლას. ის, რაც ნახევრათ ძლივს შეუგნია გერმანიის ბურჟუაზიას გერმანიის პროლეტარიატს ესმის ნათლათ, და მის პუბლიცისტები აშკარათ და პირდაპირ დაადებენ: ახლა რუსეთში წყდება მთელი კაცობრიობის მომავალი ბედიო. ყველას თვალები რუსეთს მიჩერებია: მასში, მის ტანჯვაში და უბედურებაში, მის სისხლით შედებილ მოძრაბაში იბრძვის მსოფლიო ისტორია სამშობიარო ტკივილებით მოტუსი ახალი კაცის შემქნელი კრუნჩხვა-წამებით შეპერობილი. ვრცელი აღმოსავლეთის ველს მოედო ახალ-ოხობათა შემოქმედობითი ძალა, სიდუმლო ისტორიის მდედვარე სტიქიური შენებისა, ციური სიტყვა მსოფლიო სულის ნაყოფისგამომზდებ დასაბამისა-"

ოქროსურათი.

(დეკსი პროზით)

I

ნათელი სხივის შარავანდით გარემოცული, ლაღათ მიცურავს ლაქვარდ მკერდზე ზეცის მნათობი... მიცურავს ნელა, მედიდურათ სახე ნათელი... გაბრწყინებული გადმოსცქერის დაბლა სამყაროს: სითბო სინათლით რომ შემოსოს და გაახაროს იმისი გული წამებული და დატანჯული...

ადამიანი—ცხოველთ მეფე, ძლიერი ლომი; კოღონა მწერი და უძლური ჰია ქვეშრომი; შუმბერაზი ხე, ასწლოვანი, ნორჩი ყვავილი, მთის ნაკადული მოჩუხჩუხე, ზღვის მღელვარება; ნიავის ქროლა, ქარიშხალის მძლავრი კვეთება მისი შვილია, და ყველა მათ თავზე ევლება... მთელი ბუნება მხიარული გრძნობს იმის ძალას... გრძნობს და შეხარის იმის სახეს შუქ-მოფინარეს, დაუშრეტელსა და უძირო სიცოცხლის წყაროს...

მაგრამ შეხედეთ!. შეკრთა ქვეყნის მანათობელი... ნეტა რა მოხთა?! ვინ შეახო მის სახეს ხელი?.. ვინ დააბნელა მისი კუთხე და მზის ნათელი გზაზე შეკვეცა, შეაჩერა, გახდა ბნელი?.. იგრძნო ბუნებამ დანაკლისი სიცოცხლის ძალა... იგრძნო და შედრკა ფერ წასული, გაბრუებული...

ქვეყნისა მნათობს შავი რიდე კვლავ ეფარება... გაგვიორკეცდა გულში შიში და მწუხარება... აი დაბნელდა... გაჭრა ცაზე ნათელი თვალი; ქვეყნათ გამეფდა უკუნეთი... სინათლის კვალი დაიკარგა... გაჭრა ნათელი და შავს ჯოხეთს დაემსგავსა სამყარო მთელი..

პატარა ჩიტი ჩიტუნია, ცელქი, მალხაზი სადღაც ბუჩქებში მიიმალა... ყვავილი ნაზი დაიხურა... შეკრთა ფოთოლი; ფუტკარი ყვავილს ჩააცივდა შეშინებული... გრილი ნიავი გადმოიჭრა, სითბო დაეკა. შეხეთ გონიერ ადამიანს!.. რა ელდა ეცა!.. უყურეთ ცხენი გზაზე შედგა, წინ აღარ მიდის... სულ ყველა სულდგმულს დასცემია შიშისა ზარი... სითბო-სინათლის ადარა ჩანს ცაზე ლამპარი... მხეცები მინდვრათ გამოდიან, საზრდოს ეძებენ, ღამის ფრინველები თავისუფლათ დანავარდობენ... იმათ ახარებს, რომ დაბნელდა სინათლის წყაროა, უცებ რომ გაქრა ლაჟვარდ ცაზე მანათობელი....

მაგრამ გავიდა ოთხი წუთი, წუთი საზარი და სამყაროს თვალს გადაშორდა შავი ზეწარი... დასხლტა ზეციდან ცელქი სხივი, მახაროზელი, დედა-მიწის გულს დაეკონა... და ის მშობელი კვალათ გაცოცხლდა ამოძრავდა და ახმაურდა...

დღით, სიბნელისაგან დატანჯულმა, კვლავ იგრძნო შვება... ჩუმი ღიმილით მიეულოცა მზეს გამარჯვება..

II

აი ქალაქი დიდებული, ბჟე განიერი... ფართო ქუჩებით დასერილი და მშვენიერი ზღვისა ნაპირზე გაწოლი, გადაჰმული.. მწვანე ბაღებით გვირგვინივით გარშემორტყმული სიცოცხლითა დუღს და ხმაურობს, გააქვს გუგუნი...

შეხეთ ქარხანა ორთქლით სუნთქავს, მწარეთ გრიალებს... აურაცხელი მუშა ხელი თავს დატრიალებს მანქანას ძლიერს და ღონიერს... რესტორანებში და ბაღებში ხალხი ირევა... მაღაზიებში ვაჭრობა გაცხარებული... აფთიაქებში წამლებს ლესენ... კლასში სწავლობენ, მშვიდობის მცველნი ქუჩა-ქუჩა დაწანწალობენ... სასამართლოში საქმეს არჩევს ვითომ მსაჯული... სასტუმროებში ქეიფია გაცხარებული... ქუჩა სავსეა, ქალაქს უცემს სიცოცხლის ძარღვი და მხიარული ცას შეცინის სვე მაღლიერი..

უცებ იხურვის მაღაზია, აგერ მეორე... სწრაფათ იცვლება მხიარული ქალაქის სახე... ქარხანამ სუნთქვა შეაჩერა... გამოდის მუშა... ნოქრებიც გარეთ გამოდიან, მიდის დღის მუშა... ჩექმის მწმენდელი და მეეტლე სადღაც გიმქრალა... მოსწავლეებმა მიატოვეს წიგნების სწავლა... აფთიაქიდან გამოვიდა წამლის მლესავი... მეპურეებმა მიანებეს ფურნეებს თავი... მენავემ ნავი ნაპირისკენ გამოაცურა... მეკუბოემაც სახელოსნოზე მიხურა... დალაქმა დადო მაკრატელი, სამართებელი... ხარაზმა სადგისს და კალაპოტს შეუშო ხელი... ასოთ ამწყობმა გადაყარა ტყვიის ანბანი, გარეთ გამოდის, საერთო ხმას რომ მისცეს ბანი..

მოკვდა ქალაქი... სულ ერთიან გამოიცვალა... ნეტა რა მოხთა? რა ეს იყო დიადი ძალა, სიცოცხლით სავსეს რომ მოუსპო მაჯისა ცემა... მზე თუ დაბნელდა!.. მაგრამ არა!.. ის შუქ-მფინარი კვლავ თავს დაგვცქერის მხიარული და მოცინარი... მაშ რაღა მოხთა? რამ შესწყვიტა ასე ცხოვრება?..

ეს გაფიცვაა... გაიფიცა ხალხი მშრომელი... მან შეაჩერა შემოქმედი ძლიერი ხელი, რომ მუშის ძალა დაანახოს მცარცველ-ბატონებს და დასცეს ზარი, შიშის ზარი მტარვალთა ბუნაგს. ეს ძალა არის ერთობის და სოლიდარობის, საერთო აზრით გატაცებულ მუშათა ძალა... ცაში მზე ბრწყინავს,-ქვეყნათ იგი... ორივ დიადი... იმათი ძალით მოისპობა ღამის წყვდიადი.

სამი ოთხი დღე გადის ასე... გაფიცვა წყდება... მუშა გამოდის და ქალაქი კვლათ ცოცხლდება... კვლათ იღვიძებს მკვდარი ქუჩა. მკვდარი ბაზარი... №

ქურნალ-გაზეთებიდან.

გაზ. «ცნობის ფურცელში (№ 2788) ვკითხულობთ:

„წარსული საუკუნის დროსა და ჟამსა ორი დიდი უბედურება მოევლინა საქართველოს—მოესპო საკუთარი მმართველობა, ეროვნული სკოლა და თავისუფალი ეკლესია. ასის წლის განმავლობაში ჩვენი მმართველობა ეროვნული სკოლა და თავისუფალი ეკლესია

რომ გვჭონდა, ის აღარ ვიქნებოდით, რაც დღესა ვართ, გონებით გავნათლდებოდით, პოლიტიკურათ აღვიზრდებოდით და სულით გავსპეტაკდებოდითო".

ეტყობა ამ სიტყვების ავტორს ზედმიწევნით შეუსწავლია როგორც ჩვენი წარსული, ისე დღევანდელი მდგომარეობა! ეტყობა იგი ღრმათ არის დარწმუნებული, რომ სადაც დამოუკიდებელი ეკლესია და ფეოდალიზმიც არსებობს, იქ ხალხი სრულ ბედნიერებაში განისვენებს, იგი გონებითაც განვითარებულია და პოლიტიკურათაც მომზადებული! სწორე მოგახსენოთ, ასეთი უბადრუკი აზრი და შეხედულებას იშვიათათ შევხედრივართ იმავე «ცნობის ფურცელშიაც» კი.

***

გაზ. «ივერიაში» (№ 47) დაბეჭდილია მყთაური წერილი შემდეგი სათაურით: „ავტონომია და მშრომელი ხალხის ინტერესები". ავტორი, სხვათა შორის ასე წერს:

ქართველი ხალხი ისე შეუგნებელი აღარ არის, რომ მას არ ესმოდეს, არის თუ არა მისთვის სასარგებლო თავისუფალი, დამოუკიდებელი თვით-მართველობა, რომელიც საყოველთაო დემოკრატიულ საფუძველზე უნდა იქმნეს დამყარებული. მას კარგათ ესმის, რომ მუშა, გლეხი, ნოჭარი, ქარგალ-ხელოსანი—საზოგადოთ ყველა ის ელემენტები, რომელნიც მშრომელ ხალხს შეადგენენ, უკეთ დაიცავენ თავის ინტერესებს და მუდამ უფრო ადვილათ გაიუმჯობესებენ თავის მდგომარეობას ეროვნულ-დემოკრატიულ ავტონომიის ფარგალში, ვიდრე უზარ-მაზარ რუსეთის მთლიან საკონსტიტუციო სახელმწიფოში, სადაც ბევრ ადგილას მუშა-ხალხი გონებრივ ძილშია, ჯერაც არ გამოღვიძებულა... სადაც ბურჟუაზია, ჩვენებურთან შედარებით მრავალ-რიცხოვანი და ღონიერია და, მაშასადამე, უფრო ძნელი დასაძლევიცაა... ყოველგვარი რეფორმა და ცხოვრების გაუმჯობესება უფრო ადვილათ შესასრულებელი და განსახორციელებელი იქნება, როცა მშრომელ ელემენტს ჩვენი ტერიტორიის მცირე-რიცხოვან და ნაკლებ ღონიერ მოწინააღმდეგეებთან ექნება საქმე...

ამიტომ ჩვენ დარწუნებულნი ვართ, რომ ასეთი ცხადი სარგებლობა დემოკრატიულ ავტონომიისა ჩვენის ხალხის დიდს ნაწილს შეგნებული აქვს, ხოლო, ვისაც ჯერ არ შეუთვისებია, პირველ ახსნისათანავე შეიგნებს და შეისისხლხორცებს.

ჩვენ მხოლოთ ა რ რა უნდა ვკითხოთ წერილის ავტორს: ვინ თხოულობს დღეს ჩვენში ავტონომიას? მუშა ხალხი, რომელიც თვით ავტორისავე სიტყვით, დღეს შეუგნებელი აღარ არის, თუ საზოგადოების ის ელემენტები, რომელსაც მშრომელ ხალხთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ, გარდა იმისა, რომ მისი შრომით სარგებლობენ? ამიტომ ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის: კითხვა პირდაპირ არის დაყენებული; პასუხიც ასეთივე უნდა იყოს, და არა მიხვეულ-მოხვეული და გადაფუჩეჩებული.

საუბარი

პირველი. სირცხვილი არის ღმერთმანი: რედაქციაში მსახურობ და არ კი იცი რა გზას ადგია თქვენი გაზეთი, რა მიმართულება აქვს აღებული და რის განხორციელებისათვის იბრძვის; ნუ თუ ასე ალალბედზე, ასე მთვრალ კაცსავით ბენცელი შეიძლება?

მეორე. ეშმაკმა იცის მაგათი თავი!.. განა მარტო მე, თითონ წინამძღვრებმაც არ იციან რა უნდათ, რისთვის იბრძვიან. მხოლოთ მარტო მარტო რედაქტორ გამომცემელს აქვს გარკვეული მოქმედების მიზანი.

პირველი. მაშ თუ გაზეთი მარტო გამომცემლის ინტერესებს ემსახურება, ეს რაღაცა ვითომ და პრინციპიალური წერილები რიღას მაქნისია?

მეორე. რას ჩამაცივდი ადამიანო! გეუბნები არ ვიცი მეთქი... მე საიდან მეცოდინება, როცა თითონ რედაქციის ხელმძღვანელებმა არ იციან, თორემ „ნაციონალურ სიყვარულზე" რომ ლაპარაკი ჩამოვარდა, რედაქციას არ უნდა ეთქვა თავისი აზრი? ასე აბნეული არიან... ამ საყოველთაო არეულობის დროს არავისი მომდურება არ უნდათ... ეშმაკი ვერ გაარჩევს მაგათ საქმეს.

პირველი. სახელი მაინც რა ჰქვია თქვენს ჯგუფს? რომ გკითხონ რომელ პარტიას ეკუთნით, რას იტყვი?

მეორე. არ ვიცი ძმაო, არა! ვერ გაიგე, რომ გარკვეული არაფერი გვაქვს მეთქი!.. დაახლოებით თუ გინდა გამოხატო პარტიის სახელი უნდა შეაერთო ყველა სხვა ჯგუფების სახელი იქნება ჩვენი ჯგუფის მიმართულების გამომხატველი. სხვა ჯგუფებსავით გარკვეულათ ჩვენ ჯერ არ შეგვიმუშავებია და ეშმაკმა იცის როდის შევამუშავებთ.

პირველი. ადამიანს ისე აქვს შეჩვეული ყური საგნის სახელსა და მის ზნე ჩვეულებასთან, რომ ჰგონია: ცხოველი მოუგონიათ სახელისათვის და არა სახელი ცხოველისათვისო. ისე აქაც, გაიგონებ სახელს: „სოციალ-ნაციონალისტ-დემოკრატ-ფედერალისტ ეროვნულ მუშათა პარტიაო და თქვენ თვალწინ დასურათდება ერთგვარი ჯგუფის სახე, რომელსაც უთუოთ ყოველგვარი მიმართულება უნდა ქონდეს. საჯაროთ რატომ არ აცხადებთ ამ სახელს?

მეორე. იმიტომ რომ ამ ბოლო დროს პარტიაში განხეთქილებამ იჩინა თავი. ზოგიერთი წევრი დაჟინებით თხოულობს უკანასკნელი პუნქტის «ეროვნულ სიყვარულის» ამოშლას.

პირველი. მერე რატომ არ ამოშლიან?... მაინც ხომ საკმაო მიმართულება დარჩება... ორი სიტყვა ბოლოში გინდ ყოფილა გინდ არა!..

მეორე. რაღაცა ისე ეშმაკსავით შემიჩდი, რომ გინდა ყველაფერი მათქმევინო. განა არ იცი, რომ საქმე ბოლონდელ ორ სიტყვაზეა დამოკიდებული?! ჩვენ ჩვენი პროგრამა სულაც არა გვაქვს; ვხელმძღვანელობთ მხოლოთ სხვისი მოთხოვნილებებით, მარა აქ ერთი საიდუმლოება გვაქვს: სხვის პროგრამას მოვაბამთ ბოლოში: «ქართულ ენასა და ეროვნულ ავტონომიას" და თუ კარგი ბიჭია შეეყვედავოს ვინმე. «ხერხი ჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო» ნათქვამია ქართველი ერისაგან.

პირველი. ეს შენ თუ გეგონა საიდუმლო არ ვიცი, თორემ ჩვენში ყველამ შეიტყო თქვენი პარტიის ასეთი ოინები... ეს არაფერია, მარა ახლა რომ ასე საშინლათ ჩაგეჭრათ გულში მუშა ხალხის სიყვარული, მიზეზი რა არის?!

მეორე. რატომაც არ უნდა შეგვყვარებოდა! უწინ თუ ჩუმათ ვიყავით, ეს არ ნიშნავს რომ მაშინ არ გვყვარებოდეს, გვიყვარდა, ძლიერაც გვიყვარდა. ყველა ქართულათ მოლაპარაკე ჩვენ ერთნაირის გატაცებით გვიყვარს მუშა იქნება ის თუ კაპიტალისტი, თავადი თუ გლეხი, ერი თუ ბერი. ჩვენ გვინდა ქართველი ერი ერთ მთელს ერთ განუყოფელ არსებას წარმოადგენდეს.

პირველი. ძალიან კარგი მარა ვის ეძახით ერს? ერი თავად-აზნაურობაა, სამღვდელოება თუ გლეხკაცობა?

მეორე. ვითომ ვინ გაყო ესენი ერთი მეორისგან? ყველა ქართველი ქართველია; ერთი ინტერესი აქვს: დედა-ენა და ეროვნული ავტონომია.

პირველი. თქვენი აზრით ახლანდელი მოძრაობა ,,დედა-ენის და ,,ავტონომიის'' ნიადაგზეა ამოცენებული? თქვენი აზრით ქართველი თავად-აზნაურობა ქართველ გლეხებს არ ავიწროებდა? ქართველი სამღვდელოება ქართველ მრევლს არ ატყავებდა? ქართველი კაპიტალისტები ქართველ მუშებს არ ცარცავდენ?

მეორე. რატომაც არა, სტანჯავდენ ატყავებდენ და ცარცავდენ, მარა მათ შორის ,,ჰარმონიის'' ე. ი. ,,ინტერესთა თანხმობის დამყარება ჩვენ შესაძლებელათ მიგვაჩნია. განა მარტო ჩვენ? ამ აზრს ადგას ცნობილი ,,ექიმი'' პოლიტიკური ეკონომიისა. იმათ გაზეთს არა კითხულობთ?

პირველი. რატომაც არა, ვკითხულობთ!..

მეორე. მაშ წაიკითხავდით რა აღტაცებაში მოიყვანა ორი აპრილის თავად აზნაურთა კრებამ. ამ კრებაზე მართლაც რომ საშვილიშვილო საქმე გადაწყდა. ქართველმა თავად-აზნაურობამ ე. ი. ქართველმა ერმა, ავტონომია დაარსა.

პირველი. ვიცი, როგორ არ ვიცი.. ქართველ ერს, ე. ი. ქართველ თავად-აზნაურობას ყოველთვინ სასახელოთ უმოქმედნია და ახლა რისთვის შეირცხვენდა თავს. ათას ცხრაას პირველ წელსაც სახელოვანათ იდღესასწაულეს ასი წლის იუბილეი... ერთი ეს მითხარი: როგორ უნდა თქვენს პარტიას გლეხებისა, თავად-აზნაურობისა და სამღვდელოების შერიგება, როცა მათი ინტერესები ერთმანეთს არ ეთანხმებიან.

მეორე. როგორ?.. აი როგორ: ეს სულ უბრალო საქმეა, გლეხები თხოულობენ მიწას, არა? კარგი და პატიოსანი. ილ. ჭავჭავაძემ ხომ თქვა კრებაზე: მოგვეცით ჩვენ სახაზინო მიწები და ჩვენ ზოგ რასმეს გლეხებს დაუთმობთო? ეს ერთი. სამღვდელოებას ვერ მივცემთ გადასახადსო ამბობენ გლეხები. ძალიან კარგი: თიონეთის სამღვდელოებამ ხომ დაადგინა: ხაზინიდან მიეცეს წლიურათ თითო მღვდელს 1200, დიაკონს 300 მანეთი და სოფლიდან ფულს აღარ მოვხეკთო. სხვა მღვდლებიც ასე მოიქცევიან და საქმე გაიჩარხება. ესეც მეორე.—ახლა იქნება ისა სთქვათ პოლიციისათვის ხალხი ხარჯს არ გაიღებსო. შეცდომაა. თუ პოლიცია ქართველი იქნება დ. ბაქრაძის ნატვრისა არ იყოს, საჭიროზე მეტსაც გავიღებთ. ხალხი მართლა ისე უგნური როდი არის პოლიციის საჭიროება არ ესმოდეს.

პირველი. მე არა მგონია ახლა ძალა დაუტანებლათ ხალხმა პოლიციისათვის ხარჯი გაიღოს.

მეორე. მაშ თქვენ გაზეთებს არ კითხულობთ. ამ წინაზე არ იყო რომ ქუთაისის ქალაქის თავმა ქალაქს კიდევ 5000 მანეთი შეაწერა პოლიციის გასაძლიერებლათ და ქალაქის ხმოსნებმა ხმის უმეტესობით მიიღეს ეს ხარჯი? თქვენ ეს უბრალო მოვლენა ნუ კი გგონიათ: იქ პოლიციას სათაკეში ქართველი კაცი უდგას და ქალაქიც ასე ხელ გაშლილი ეგებება.

პირველი. გურული გლეხები რომ წოდებათა მოსპობას თხოულობენ, ამის შესახებ რას იტყვის თქვენი თავად აზნაურობა? სახაზინო ადგილს კი გააჩუქებენ, მარა გლეხების ასეთი მოთხოვნილება ესიამოვნებათ?

მეორე. კარგი გენაცვა ჩამომეხსენ; თავი მომბეზრდა... რაც უნდათ ისა ქნან. ეშმაკმა იცის ესიამოვნებათ თუ ეწყინებათ.

ეშმაკმა ბევრი სხვაც იცის, მაგრამ ყველას ახლა ხომ ვერ დაკაკლავს.

ეშმაკი.

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲒᲐᲜᲡᲐᲪᲓᲔᲚᲨᲘᲐ!

ამ ადგილზე დღეს იწყება ახალი ეპოქა მსოფლიო ისტორიისა და თქვენ შეგეძლებათ თქვათ, რომ მის დასაწყისს დაესწარით.

გიოტე (ვალმის ბძოლაზე).

თითქმის სამი თვეა რაც რუსეთის დიდი კრიზისი დაიწყო. თავბრუ დამსხმელი სისწრაფით საზოგადოება მიქრის საშინელ კატასტროფისაკენ, რომელიც საქმეს საბოლოოთ გადაწყვეტს. საზოგადოებას ფეხ ქვეშ გამოეცალა მტკიცე, შეურყეველი ნიადაგი, დაკარგა სულის სიმშვიდე და მიეცა სტიქიონივით მძლავრ მიმდინარეობას, რომელიც მას უხვათ თავს აყრის ახალ და ახალ შთაბეჭდილებებს, თავბრუს ახვევს და წინ უზარმაზარ, მისი თვალთა ხედვისთვის მიუწვდომელ კითხვებს უყენებს. საზოგადოება უჩვევ მდგომარეობაში ჩავარდა: გუშინ ცხოვრების მსვლელობა აუჩქარებელი იყო, აზროვნება ზანტი და მოდუნებული.

Natura non facit saltum — ბუნება არ აკეთებს ნახტომებსო,—ამტკიცებდენ აუშფოთებელი, უზრუნველ-ყოფილი ბურჟუაზიის თეორეტიკოსები და ბევრს ჯეროდა ეს, ცდილობდა მაინც თავი დაეჯერებინა, მარა ულმობელმა, მიუდგომელმა სინამდვილემ გააქრო ეს ილუზია, მობერებული ბურჟუაზიული აზროვნების ღვიძლი შვილი, მისი მზრუნველობით აღზდილი და განმტკიცებული. რუსეთში კრიზისი დაიწყო, დაიწყო პროლეტარიატის ზეზე წამოწევით და მაზე მოყოლებული საშინელი სისხლის ღვრით.

გამოუცდელი, გულუბრყვილო პროლეტარიატის ნაწილი წავიდა ასი ათასობით პურის და თავისუფლების სათხოვნელათ: პურის მაგიერ მას მძიმე ტყვია მიაწოდეს, თავისუფლების მაგიერ ძლიერთა თავგასულობა აგემებინეს; პეტერბურგის მოედანზე და ქუჩებში მას პირველი პოლიტიკური გაკვეთილი მიცეს და დაბაბარეს, რომ პროლეტარიატს თხოვნა არ შეფერის. შურის-ძიების ძლიერი გრძნობა მან წყევლა-კრულვით გულის სიღრმეში ჩაიმარხა, ნაჭირნახულევი, გამოვლილი ტკივილები თავის მოძმეს გაუზიარა და მის აზროვნებაშიაც ნახტომი მოახდინა. კრიზისი დაიწყო ისე, როგორც ჯერ არსათ დაწყებულა საზოგადოებრივი კრიზისი, არც ინგლისში, არც გერმანიაში, არც სხვაგან სადმე ევროპაში, არც თვით განთქმულ საფრანგეთში.

სამშობლო განსაცდელშია! იაპონელებმა ყველგან საშინლათ დააშარცხეს ჩვენი ჯარი, ძლიერი არმია გაფანტეს, აიღეს პორტ-არტური, აიღეს მუკდენი, ტელინი და ახლა ხარბინს ემუქრებიან. შიგ ალი მოედო რუსეთს ყოველ მხრიდან: პეტერბურგში და როსტოვში, რიგაში და სარატოკში, ვარშავაში და ბათუმში, ვილნოში და ლოძში. იწყება სიმშილობა, ეკონომიური კრიზისი მწვავდება, ხოლერა ახლოვდება, აბობოქრებული ხალხი ღელავს, იზდება თავგამოდება და სასოწარკვეთილება. იაპონიის ჯერ ახალგაზდა და ჯანმთელმა ბურჟუაზიამ მძიმე და განუკურნავი ჭრილობები დააჩინა ჩვენ „სამშობლოს“: ოფიციალური რუსეთი ეძებდა დაკარგული

ავტორიტეტის აღდგენას, შერყეული ნიადაგის განმტკიცებას, ხალხის გულის გადაბირებას, სამხ დრო ძლიერებით მის მოყიდვას; მას მაგიერ მან მოიპოვა სამარცხვინო დამარცხება, დაკარგა კრედიტი ევროპის და რუსეთის ბურჟუაზიის თვალში, დაკარგა ძველი სამხედრო დიდება და მამა-პაპური გავლენა. ომი ოფიციალურ რუსეთს მძიმე ლოდათ გულს დააწვა და იმანაც ეს სიმძიმე საზოგადოებას აგრძნობინა. მარა ყველაზე მეტათ საზოგადოების საძირკველს ემწვავა: ყველაზე მეტათ პროლეტარიატი გრძნობს ფეოდალიზმის სიდუხჭირეს, ყველაზე ადრე და უფრო ადვილათ ის უზიარეს გულის ნადებს თავის მოძმეს და საერთო გამოცდილე'იდან დასკვნას ყველაზე ადრე აკეთებს. ის წამოიწია და საზოგადოება ააზვირთა, ააშფოთა. სამშობლომ თავის განსაცდელი ნათლათ დაინახა, ღონე მოიკრიფა, შესატაკებლათ მოემზადა, ჯიარაღო ხალხთან შესატაკებლათ. ერთხელ კიდევ დამარცხდა პროლეტარიატი და ნელ-ნელა დაცხრა, დროებით დაშვიდდა.

სამშობლო მაინც განსაცდელშია! მან იგრძნო, რომ მისი გამარჯვება პიროსის გამარჯვებაა, რომ საკმაოა ორი-სამი ასეთი გამარჯვება და ის დაეცემა ძლევა-მოსილი მტრის ფეხთ ქვეშ, ღონე მიხდილი, უშემწყოთ, სისხლის და ცრემლის მორევში; ის ხედავს, რომ სამშობლო სუსტდება, მამულისშვილთა ბანაკი კლებულობს და თვალ და ხელთ შუა ჭრება; იზდება პირიქით არაკეთილ მოაზრეთა ბრბო, მათი ძალა და თავგამოდება. ,,როცა მცირე ჯგუფი მთელს საზოგადოებას დამნაშავეთ აცხადებს და მას კანონს გარეშე აყენებს, ჩანს ამ ჯგუფის გასამართლების დღე მოახლოებულა!''-ო ჩასჩურჩულებს მას სული ბოროტი და ამით გულს უშხამავს, ენერგიას უსპობს, სასოწარკვეთილებაში აგდებს. აი ეს დღეც ახლოვდება და მისი მოსვლა აუცილებლობათ გარდაიქცა.

შერცხვენილი ჯარი მანჯურიიდან შინ დაბრუნდება. ნუ თუ ის თავის თავს არ მიცემს იმ კითხვას, თუ ვინ არის მისი სირცხვილის მჭმეველი, მისი დამარცხების, მისი აუარებელი ტანჯვის, გავლილი სიმშილ-წყურვილის და აუწერელი ვაების მიზეზი? პასუხი ერთათ ერთია. ნუ თუ შემდეგ ის არ იკითხავს, ვისთვის და რისთვის იბძოდა ის, რისთვის იტანდა ზეკობრივ და ფიზიკურ გაჭირვებას და დამცირებას? პასუხი აქაც მხოლოთ ერთია. მერმე განა შესაძლებელია, რომ ყველა გამოვლილი და ნანახი გამოცდილების შემდეგ იმან შინაურ მტერს შეებძოლოს, არა, ისიც უმუხთლებს სამშობლოს და მას სასოწარკვეთილებაში ჩააგდებს, საბოლოოთ დაცემს, უფსკრულისკენ წაუბიძგებს. ახლო მომავალში მოჩანს ის საშინელი სურათი, რომელზედაც დაფლეთილი მხედარი დაფლეთილ გლეხს მეგობრულათ ეხვევა. მაშ, სამშობლოს განსაცდელი მოელის!

გლეხობაში უთავბოლო უსამართლობამ და დაბეჩავებამ აუარებელი ენერგია დაამზადა; ქალაქიდან სოფელში ნაპერწკლები გადაცვივდა და სოფელსაც ცეცხლი მოედო და გამძლავრდა. მესაკუთრე კლასები დაფრთხა, მოახლოებული ქარიშხალის ქუხილი მოესმა და თან-და-თან ოპოზიციას მოემხრო. იმანაც იგრძნო, რომ დაუსრულებელ ანარქიაში და პოლიტიკურ რყევაში ეკონომიური წარმატება შეუძლებელია. მისი ჯიბის ინტერესები ჰირველი ბიუროკრატიის ინტერესებს ეწინააღმდეგება, ამ უკანასკნელის წყალობით მისი ჯიბე დამჭლევდა და მუდამ შიშში იმყოფება. მაშ, გაუმარჯოს ახალ რუსეთს, ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, გარეშე ელემენტებიდან გაწმენდილს! უნივერსიტეტები და გიმნაზიები დაიხურა და მოსწავლე ახალგაზდობაც ქუჩაში გამოვიდა: განყენებულმა მეცნიერებამ მნიშვნელობა სრულიათ დაკარგა, უკან მიეფარა და მისი ადგილი ,,წყეულმა ქუჩამ'' დაიკავა.

პოლიტიკურმა აღზრდამ. დასუსტდა საზოგადოების მცველთა სახელოვანი ბანაკი, ერთ წელიწადში მთელი თავისი ძველთაგან შერჩენილი სიძლიერე და ენერგია დახარჯა, შეუპოვარ მტრებს მიალია. სამშობლო ძლიერ განსაცდელშია!

სამოქალაქო ბრძოლა რუსეთში შემაძრწუნებელი სისხლის ღვრით დაიწყო და მომავალშიაც ის ცეცხლით და მახვილით გაიკაფავს გზას. მშვიდობიანი გზით თავისუფლების მოპოება სანატრელია, მარა ის ჩვენში შეუძლებელი შეიქნა, ძალმომრეობა არა სასურველია, მარა ის აუცილებელი შეიქნა. ფეოდალიზმის ნაშთი აუტანელ ტვირთათ დააწვა რუსეთს მკერდზე და არაფრის დათმობა არ უნდა. საზოგადოება წინ მიდის: ეკონომიურმა წარმატებამ წარმოშვა ახალი საზოგადოებრივი ფორმები, ახალი კლასები, ახალი მოთხოვნილებები. პირველი წურბელათ, ხორც-მეტათ გადაიქცა მეორეს ნორჩ ტანზე და მისი სისხლით საზრდოობს; ამ გვარ საზოგადოებრივ ძალთა შერიგება შეუძლებელია და მხოლოთ გაუსწორებელ უტოპისტებს შეუძლია იმაზე ოცნებობა. ამ გვარ შემთხვევაში ორი გზა-ღა დარჩენილა: ან რუსეთის საზოგადოება გაიხრწნება ისე როგორც ძველი რომის და საბერძნეთის საზოგადოება გაიხრწნა, ან მოისპობა ფეოდალიზმის ყოველგვარი ნაშთი და განთავისუფლებული საზოგადოება ფრთებს გაშლის. აი ამიტომ დაწყებული ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა: ის არის ბრძოლა არა მარტო უფლებისათვის, არამედ არსებობისათვისაც.

აი ამ ისტორიულ შეტაკებაში ცენტრალური ადგილი პროლეტარიატს უჭირავს, უმთავრესი როლი იმას აბარია. ყველაზე მტკიცე ორგანიზაციები იმან შექმნა, ამხანაგური დისციპლინის მნიშვნელობა ყველაზე ადრე მან შეისისხლხორცა, პოლიტიკური ინიციატივა ყველაზე მეტათ შეგნებულმა პროლეტარიატმა გამოიჩინა. იმან მიიტანა პირველი იერიში, იმან შეარყია მტრის დედაბოძი და ის გამოიყვანს ამ შეჯახების დროს საბოლოო დასკვნას, ის დაამყარებს, ერთი სიტყვით უკიდურეს დემოკრატიას. მარა საკითხავია, შეუძლია თუ არა რუსეთის პროლეტარიატის შეგნებულ ავანგარდს გასცილდეს ახლავე კაპიტალისტური საზოგადოების საზღვრებს და შეუდგეს თავისი საბოლოო მიზნის განხორციელებას, კოლექტივისტური საზოგადოების დამყარებას? რასაკვირველია, არა: რუსეთის საზოგადოება არ არის საკმაოთ განვითარებული ეკონომიურათ, მისი წარმოება ჯერ ნორჩია, საწარმოო იარაღები შედარებით უკან ჩამორჩენილია, გლეხობის უმრავლესობა მხოლოთ ახლა გამოდის პირველყოფილ მდგომარეობიდან და თავს ყოფს კაპიტალისტური საზოგადოების ერთეულში. სანამ პროლეტარიატი ბურჟუაზიულ რევოლიუციას ახდენს, ის იწვევს საერთო თანაგრძნობას და ამ თანაგრძნობის ატმოსფერაში მოქმედება შესამჩნევათ უადვილდება; მარა ეს თანაგრძნობა მაშინვე ბრაზმორეულ წინააღმდეგობათ გადაიქცევა, როგორც კი შეეხება ის ბურჟუაზიის წმიდათა წმიდას, კერძო საკუთრებას; გლეხობის უმრავლესობა, რომელიც ასე იტანჯება კაპიტალისტური საზოგადოების **განუვითარებლობის** გამო, მიუდგომელ კლდეთ გადაექცევა კოლექტივისტურ ტალღებს და შეაჩერებს მის მიმდინარეობას.

მარა რუსეთის კრიზისი უსათუოთ გამოიწვევს პოლიტიკურ რყევას მთელ დასავლეთ ევროპაში, შეიძლება კიდეც წააქეზოს ევროპის რეაქციონური ძალები ხელი გამოუწოდოს თავის მოძმეს, რათა ამით საიმედო მოკავშირე გადაარჩინოს. ყოველ შემთხვევაში, რუსეთის კრახი, უძლიერესი რეაქციონური ბუმბერაზის დამხობა წარმოუდგენლათ დააჩქარებს პოლიტიკურ განვითარებას, გააძლიერებს პროგრესიულ საზოგადოებრივ ტენდენციებს და ყველაზე უწინ პროლეტარიატის

პარტიას. ყველა ამას შეუძლია გაჭიმული ძაფები დაწყვიტოს და მოწინავე, შეგნებული პროლეტარიატი ერთი ნახტომით სახელმწიფოს სათავეში მოაქციოს, ამას შეუძლია ერთი ძლიერი დაკვრით ბატონობა ბურჟუაზიის ხელიდგან გამოსტაცოს და დიქტატურა მუშათა კლასს ჩააბაროს. ერთი რაიმე უბრალო ღონისძიებით პროლეტარიატი შეძლებს საზოგადოების უფრო გაჭირვებული და ჩაგრული ნაწილის გადაბირებას და სამუდამოთ თავის თავთან დაკავშირებას. ის დაანგრევს ძველ შენობას და ახალი საზოგადოების საძირკველს ჩაყრის. დასავლეთი ევროპა მომწიფდა ეკონომიურათ ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის დასამყარებლათ, მან შექმნა აგრეთვე თითქმის ყველა სახელმწიფოში პროლეტარიატის ძლიერი ორგანიზაციები და ახლა მხოლოთ საბაბია საჭირო. რუსეთის კრიზისი მიცემს ამ საბაბს *)... ამ გვარათ საერთაშორისო კაპიტალის სამშობლოც განსაცდელშია! დიადი დრო ახლოვდება...

გ.

გაკვრით.

დღეს ყველასათვის თვალსაჩინო გახდა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში მოხდა ის, რაც ძნელი წარმოსადგენი იყო ამ ორი თუ სამი წლის წინეთ, ე. ი. საყოველთაო გაფიცვა. ამ მოვლენამ, რასაკვირველია, ბევრი აალაპარაკა, ბევრი გადაიყვანა ვიწრო სამეცნიერო კაბინეტიდან პოლიტიკის სფერაში და გულმოდგინეთ შეუდგენ მიზეზების გამორკვევას. გაფიცვის მიზეზი მთელი დღევანდელი წესწყობილებაა. მიზეზის დასახელების გარდა გამოარკვიეს თავისი ასეთი თუ ისეთი შეხედულება გაფიცვაზე. ჩვენ კი გვაინტერესებს ამ უკანასკნელთა შორის ის შეხედულება, რომელიც უარ ყოფს გაფიცვას, როგორც ფორმას პოლიტიკური ბრძოლისას, თუმცა ამ ბრძოლას საჭიროთ თვლიან. ამ მხრით მეტათ საინტერესოა „პრავო“-ში დაბეჭდილი წერილი ს. სავიჩისა: „გაფიცვა უმაღლეს სასწავლებლებში“ («Право“ 1905 г., № 11). ამ წერილის გარჩევას ჩვენ არ შევუდგებით, ვიტყვით მხოლოთ, რომ ავტორი ეკუთვნის მოაზრეთა ჯგუფს, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ შეუგნია ის ანბანური, თვალ-საჩინო ჭეშმარიტება, რომ სტუდენტობა, როგორც მთელი საზოგადოება, დაყოფილია სხვა და-სხვა ჯგუფებათ, რომლებიც ამა თუ იმ კლასის იდეოლოგებათ უნდა ჩაითვალონ, რომ მათ შორის არსებობს კლასსიური განხეთქილება, რაც შეუძლებლათ ხთის რაიმე არსებითი საერთო პოლიტიკური პროგრამის შემუშავებას. მართალია, ეხლანდელი მოძრაობა პირველ შეხედვით პოლიტიკურ ბრძოლაზეა აგებული (სადაც სხვა და სხვა ჯგუფების დროებით შეთანხმება შესაძლო ხთება), მაგრამ მას საფუძვლათ ღებვს კლასსიური უთანხმოება. პოლიტიკური ბრძოლა შედეგია კლასსიური ბრძოლისა, და თუ ეხლა პოლიტიკური ბრძოლა უფრო გამწვავებულია, ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომიურ ნიადაგზე აღმოცენებულ განხეთქილებას მიუხწევია უკიდურეს წერტილამდის და დაუყონებლივ თხოულობს გაწესრიგებას. ვისგან გაისმა პირველი მედგარი ხმა თანამედროვე წესწყობილების ძირითად შეცვლაზე? მშრომელი ხალხიდან, რომელსაც ეს უკანასკნელი მძიმე უღლათ აწევს და მის სამუდამო განთავისუფლების გზას უღობავს. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ თანამედროვე ბიუროკრატიული წესწყობილება არ აფერხებდეს სხვა საზოგადოების ჯგუფებსაც.

*) ეს აზრი ეკუთვნის კარლ კაუცკის და გამოთქმულია მის პოლემიკურ სტატიათა სერიაში: Die Waffen der Revolution. (N. Z. 1903—4).

პოლიტიკური განწყობილება, აღმოცენებული განსაზღვრულ ეკონომიურ პირობებში, კარგავს თავის მნიშვნელობას, ხთება მეტ-ხორცათ და აფერხებს წინმსვლელობას, როცა ეს უკანასკნელი იცვლება. მაშინ ამხედრდება მთელი საზოგადოება დამაფერხებელ წესწყობილების წინააღმდეგ და ყველა კუთხე-ბიდან გაისმის პროტესტის ხმა. თუ უწინ ქუჩებში გაისმოდა მუშების მედგარი ხმა, თუ მარტო ისინი გამოდიოდენ ბრძოლის ველზე, დღეს ბრძოლის ველიდან თუ არა, კაბინეტებიდან მაინც კი ისმის სხვა და სხვა ელემენტების უკმაყოფილება, სბვა და სხვა ბანკეტებზეც კი გამოაქვთ „იაფ-ფასიანი“ რეზოლითციები. ყველა მათ აქვთ მხოლოთ ერთი საერთო; „ასე ცხოვრება არ შეიძლება“, დღევანდელი პირობები უნდა შეიცვალოს. მაგრამ შეცვლაც არის და შეცვლაც. 1861 წელს რუსეთში გაანთავისუფლეს ყმები, მოხთა ცვლილება, მაგრამ ისე კი, რომ დღესაც შესაცვლელათ არის. თუ ჩვენ ჩაუკვირდებით სხვა და სხვა ჯგუფების პოლიტიკურ პროგრამას დავინახავთ, რომ მათ შორის დიდი არსებითი განსხვავებაა. ყველა მათ პროგრამაში ჩაქსოვილია თავისი „მე“. ყველა ჯგუფს უნდა პირობები შეიცვალოს, მაგრამ ისე კი, რომ თავისი არსებობა პროფესსიონალური, წოდებრივი... შერჩეს. ამ ნაირათ პოლიტიკურ პროგრამმასაც თავის არსებობის შერჩენის დაგვარათ ადგენენ. მოუხედავათ აუარებელი რეზოლიუციებისა, ეს უკანასკნელნი განიყოფებიან ორ ნაწილათ: ერთი წმინდა დემოკრატიულს (რასაკვირველია უმცირესობა), მეორე კი მხოლოთ ლიბერალურია. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოება ორ ბანაკათ არის გაყოფილი: ერთ მხარეზეა მშრომელი ხალხის სურვილების, ჰირ-ვარამის წარმომადგენელნი, მეორეზე კი იმას, ამ მშრომელ ხალხის ზურგზე დათარეშობენ. შეიძლებელია მათ შორის რამე საერთო იყოს?—სტუდენტობაც ამ ორ ბანაკათ გაიყოფება და მათ შორისაც არაფერი საერთო არ არის, მათ შეეძლოთ მხოლოთ ვიწრო აკადემიურ ნიადაგზე ებრძოლათ ერთათ, მხოლოთ როცა დადგა დრო სახელმწიფოს წესწყობილების ძირიანათ შეცვლისა, როცა ამა თუ იმ კლასის მდგომარეობის შეცვლაზე მიჰიდა საქმე, მაშინ კი სტუდენტობა, როგორც სხვა და სხვა კლასის წარმომადგენელი უნდა დაშლილიყო და სხვა და სხვა კუთხეებში დაეწყოთ მუშაობა. ეს ასეც მოხდა. სტუდენტების საერთო გაფიცვის მიზეზათ ჩვენც ეხლანდელი ანორმალური დახავსებული პირობები მიგვაჩნია. მხოლოთ იმ განძარტებით, რომ ამ პირობებმა მიაღწია უკიდურესობამდის და დადგა დრო, როდესაც ყველამ თავისი უნდა თქვას; სტუდენტობა კი როგორც „თავისის“ არა მქონე, ბუნებრივია, რომ დაიშალა, რათა თავისთანებს მიმართოს.

როგორც ფორმა პოლიტიკური ბრძოლისა საერთოთ სტუდენტობისათვის შესაძლებელია მხოლოთ ერთი ე. ი. გაფიცვა.

სიო ჭ—ლი

მოკლე შენიშვნა თავად-აზნაურთა კრებების შესახებ.

რამდენჯერმე დავესწარი თავად-აზნაურობის კრებას და სამწუხაროთ უნდა შევნიშნო ერთი სუსტი მხარე. აქ იყო კამათი ყველაფერზე და დალაგებით კი არაფერზე. ორატორებს ეტყობოდათ მეტის მეტი აჩქარება, ეტანებოდენ წვრილმანებს, როცა უმთავრესი თითქმის ხელ უხლებელი რჩებოდა მაგალითათ რა ერთგულობით გაისმოდა **ავტონომია,** რა გაა ტაცებით უწოდებდენ დამსწრეთ, იმათი აზრით, ამ **წმინდათა წმინდის კენ,** მაგრამ თუ ეცადა ვინმე დალაგებით აეხსნა, რა არის ავტონომია! ეს იმასა გავს, ადამიანს ურჩევდე სადმე

გადასახლებას და იმ ალაგზე მხოლოთ გაკვრით, ან სულ არას ეუბნებოდე. თითქო ეს თავის თავათ გაგებული იყოს. ჩვენ გვგონია, ამის უთქმელობა დავიწყებას არ უნდა მიეწეროს, არა, ოფრო თვით ამ ავტონომიის შინაარსის გაუგებრობას ორატორების მხრით, რისთვისაც უხვევდენ პირ და პირ გზას და კითხვის გარშემო ტრიალებდენ.

საკვირველიც არ არის. რა სახე უნდა ქონდეს იმ ავტონომიას, რა განკერძოებული, რა საერთო ყველა დანარჩენ სახელმწიფოს ნაწილებთან, ეს მეტის მეტათ დიდი კითხვაა, საგანი ღრმა მოსაზრებისა. მართლაცა და როგორი წესწყობილებაა სანატრელი—ეს მეტის მეტით ფრთხილი საკამათო საგანია, ვინაიდან ეს ეხება ხალხის ბედს. ეს კი საანბანო ჭეშმარიტებაა, რომ როგორი სახეც უნდა ქონდეს ამ წესწყობილებას, იმაში დაცული უნდა იყოს ინტერესი უმრავლესობისა და არა მცირე ნაწილისა. ასეთ უმრავლესობას და უმცირესობას თვითეულ ერში წარმოადგენს, როგორც ვიცით ერთის მხრივ მუშა, მშრომელი ხალხი, ე. ი. უმრავლესობა, და მეორეს მხრით კაპიტალისტები, ანუ უმცირესობა. ესენი შეადგენენ ორ კლასს, რომელთა ინტერესი შეურიგებელია ერთი მეორესთან, ვინაიდან ერთის გამარჯვება ნიშნავს მეორის დამარცხებას განურჩევლათ იმისა ეკუთვნიან ერთ ერს თუ არა. ვიქონიოთ ეს გარემოება მხედველობაში და შევეკითხოთ, რა პირობაში შეიძლება თვითეული ერის უმრავლესობის წინ სვლა? ანუ შესაძლოა, თუ არა ამის განხორციელება ისეთ ეროვნულ ავტონომიაში (რომლისკენაც გიისწრაფიან), სადაც ერთი ერი მიწყვეტილი იქნება მეორე ერისაგან, როგორც კაპიტალისტი, ისე მშრომელი ხალხი დაემჭიდროებრება მთლათ შინაურ კანონებს? ავიღოთ მაგალითათ ამ პირობაში საქართველო. ვნახოთ რა მოუვება ამათ. როგორც აღვნიშნეთ აქაც, როგორც საერთოთ, ინტერესი მცირე ნაწილისა (კაპიტალისტები) ძირითადათ ეწინააღმდეგება უმრავლესობის ინტერესს. ვინც იაფათ მიაწვდის შრომას მწარმოებელს, ისიც ამასა კიდებს ხელსა, განურჩევლივ იმისა რომელ ეროვნებას ეკუთვნის მუშა ხელი. ამას მოითხოვს არსებული **კონკურენცია**. აქედან აი რა გამოდის: იმ დროს, როცა ქართველი მუშა არ ჯერდება ხელ ფასს ან სხვა პირობას ქართველსავე მწარმოებელს, იმ დროს როცა მთლათ ქართველი მუშები გაიფიცენ ვისმეს წინააღმდეგ, მაშინ რომელიმე ერის მუშები ვთქვათ თათრები მზათ არიან გამოუცხადონ თავიანთი თანხმობა ქართველ მრეწველს; ამ გვარათ ჩაიარა უნაყოფოთ ერთი ჯგუფი მუშების გაფიცვამ. ესევე მოხდება ცალ-ცალკე სხვა ერებიშიაც. ეს გარემოება კი ხელ საყრელია მრეწველისათვის. ამ პირობაში ყველგან ზარალობს ერის უმრავლესობა უმცირესობა კი პირ იქით ლაღობს; რა არის მიზეზი? ცხადია: მუშათა ჯგუფების ერთი მეორესთან კონკურენცია განურჩევლათ ეროვნებისა.

რა დაიხსნის ამათ ამ მდგომარეობიდან? ერთათ ერთი პირობაა ყველა მუშათა შეერთება, თანხმობით მოქმედება ყველა მწარმოებელთა წინააღმდეგ, რის მაგალითსაც ვხედავთ დღეს. მაშ თუ ესეა, რა სახეც უნდა მიიღოს წესწყობილებამ, როგორიც უნდა იყოს კერძო ერების მართვა გამგეობა, თვითეული ერის უმრავლესობის ინტერესი აუცილებლივ მოითხოვს **ერთ პირობას**—ყველა მშრომელთა როგორც ერთი კლასის ნაწილთა შეერთებას, საერთო კანონმდებლობას, რამდენათაც ეს საჭიროა მეორე კლასზე გამარჯვებისათვის.

ვინა ვარ.

საგურამოს და ჭოკოტის საზოგადოება.

საგურამოს საზოგადოების მცხოვრებლებმა ექვს მარტს თავი მოიყარეს და მოილაპარაკეს თავისს ჭირ-ვარამზე, თავისს დაჩაგრებულ ცხოვრებაზე. ხალხმა გადაწყვიტა «ბოიკოტი» გამოუცხადოს აქაურ მემამულეებს: ილია ჭავჭავაძეს, გივი სტარასელსკის და ტატო ციციშვილს. «ძართლაც შეწყვიტეს იმათთან ყოველგვარი დამოკიდულება. ასე გაშინჯეთ თ. ჭავჭავაძეს ყავდა ახალსოფლიდან ერთი დედაბერი მექათმეთ; იმის შვილის სახლს ცეცხლი წაუკიდეს, რატომ დედაშენი არ ანებებს თავს მებატონესთან სამსახურსაო ბ კაცი იძულებული გახდა ძალით გამოეთრია გაჯიუტებული დედაბერი. ამათ მაგალითს მიბაძა ჭოპორტის საზოგადოებამ და ამგვარათ გაფიცვა მოედო მთელ გალმა-გამოლმა საგურამოს 16 სოფელს-20 მარტს თავი მოიყარა ხსენებულმა 16 სოფელმა ერთათ. კრებას 2000 მეტი კაცი და ქალი დაესწრო. მოილაპარაკეს თავიანთ ჭირ-ვარამზე, გათახსირებულ და მიწასთან გასწორებულ ცხოვრებაზე. ბევრი გულის გასაგმირი და სულის ალმა. შფოთებელი ამბები თქვა ხალხმა ამ კრებაზე. მოვიკვან აქ ორიოდეს ნიმუშათ, თორემ მთლათ იმისი დაწერა ადვილი საქმე არაა.

ერთმა ახალ-სოფლელმა გლეხმა თქვა: „გასულ ზაფხულში როცა სანადელო ყანა მოვმკე, ვეახელ ბატონს და მოვახსენე, რომ მოურავი გამოეგზავნა და ძნა გაგვეყო. ველოდე ერთი დღე, მაგრამ არ გამოჩნდა; მეორე დღეს ნაშუადღევს ჩამოვიდა მოურავი, კაცი გულ-ქვა და შეუბრალებელი. გავყავით ყანა, დაუდე ჩემს ურემზე და ამასობაში კიდეც დაღამდა. «ახლავე წამოიღე ურემიო» მომაძახა მოურავმა და თითონ კი ცხენი გაქუსლა. რადგან ღამე ბნელი იყო და გზა ცუდი ილია ჭავჭავაძის კალომდე, შემეშინდა ურმის გაღაბრუნება და იმ ღამეს მაგიერ მეორე დილას წავიღე ურემი. ვიდრე მოურავი და ილია ჭავჭავაძე გამოიღვიძებდენ მე ურემი კალოზე მივიტანე, მაგრამ მაინც ვერ გადვურჩი მოურავის რისხვას და ლანძღვას. არ მიიღო ძნა, ბატონი აბძანდება და ის მიიღებსო. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ აბძანდა ბატონი ილია ჭავჭავაძეც, გამობძანდა ბალკონზე, დამჭყიალა და დამჭყიალა. მერე დამიწყო უშვერის სიტყვებით ლანძღვა. „ახლავე ეგ ძნა დააბრუნე და იქვე ჩაიტანე სადაც დაუდე, როცა მოურავს დრო ექნება ჩამოვა, ახლათ გადმოითვლის და გაყოფსო.“ ბევრი ვემუდარე, ვეხვეწე, ვბლა დაკთვალოთ თუ ერთი თავთავი აკლდეს თავი მომჭერი მეთქი; თუ ადამიანს არ იბრალებ ეს უენო საქონელი მაინც შეიბრალე მეთქი, მაგრამ ამაოთ ძნა ისევ იქ ჩავიტანე, დავცალე ურემი და ველოდე ერთი დღე, მეორე, მესამე, მაგრამ არ არის მოურავი. იქ ველოდე მინამ ძნა საქონელმა არ დაშალა და გაახრა.“

„ამ ზამთარსა, დაიწყო სოფელ გურამიანთ კარელმა გლეხმა, დიდი ყინვებისაგან წყალი, რომლითაც მთელი ოთხი თუ ხუთი სოფელი ვსარგებლობდით გაიყინა. გაიყინა ისე, რომ მთლათ უწყლოთ დავრჩით. სოფელს ზევით სამ ვერსზედ ტყეში და მიუვალ ღელეში ჭავჭავაძის მამულში, გამოდის პატარა წყარო, რომელიც ზამთრობით არ იყინება. დავიწყეთ ამ წყაროთი სარგებლობა; დაევსია თავადმა მოურავები, ბიჭები და ავიკრძალა წყლით სარგებლობა. თანაც გვითხრეს, ვისაც წყალი უნდა იმან სულ თითო საქონელზე ათი შაური უნდა გვაძლიოს თვეშიო, და სასმელ წყალს მუქთათ დაუთმობთო. იძულებული ვიყავით დავთანხმებოდით; მთელი ზამთარი ვაძლიეთ ასე უცნაური ხარკი. ჩვენ სოფელში იყო ერთი ძალზე ღატაკი კაცი, ასე რომ ჩვენ—ღარიბებს გვყავდა ზურგზედ აკიდებული თავისი ცოლშვილით. ერთ დღეს ამ კაცს აემსო

ორი კოკა, გადაეკიდნა მხარზე და მიქრონდა სახლში. გზად გამოვლილი დაინახა ი. ჭავჭავაძის მოურავმა, გაკარდა, სწვდა ყელში, დაუწყო ლანძღვა, რატომ თვეში ათ შაურს არ იხდიო. გლეხმა მიუგო: „თქვენ ათი შაური საქონელზე დაადგინეთ და მე კი კატაც არა მყავსო; ან ათი შაური ვინ მომცა, ეს ორი კვარაა რაც ავლანტალდი ლოგინიდან, ხომ იცი სულ ავათა ვარ, ნათქვამია „წყალი მდევსა და გველაშაპსაც არ დაუჭერიაო“-ო და თქვენ ხომ ქრისტიანები ხართო. შენთან ბევრი ლაპარაკი არ ღირსო, ამ სიტყვებით მივარდა მოურავი საცოდავს და ორივ სავსე კოკა ზედ გადაამტვრია ნახევრათ შიშველ გლეხს. ამ ამბავს ილია ჭავჭავაძე ბალკონიდან უყურებდა 400 მანეთიან ქურქში გახვეული, გულიანათ იცინოდა და თანაც აქებდა ერთგულ მოურავს: „ყოჩაღ მემარნეშვილო, ყოჩაღ ეგრე სწესხი უნდა მისცე, რომ თავზე არ წაგვასხდენო“. უბედური გლეხი ვიდრე სახლში მივიდოდა დასველებული, გზაში მთლათ გაყინულიყო. მივიდა სახლში მარა იქაც კერა გაციებული დახვდა უშეშობის გამო. გახდა ხელ ახლათ ავათ და ერთ კვირაზედ გაათავა მრავალ ტანჯული და წამებული სიცოცხლეო“ დაათავა გლეხმა ეს შემზარავი ამბავი. ეჰ „რა გავაგძელო თავადიშვილი კარგი რა არი ავი რა იყოს“.

თუ რომ ცნობილი მგოსანი ასეთ ამბებს ჩადის გლეხებთან, მაშ სხვა საგურამოს მ[illegible]ბატონეები რაღას იზამენ? ეს მკითხველისათვის მიმინდვია გამოსაცნობათ. თავიანთი ყოფა-მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ გლეხებმა ამ კრებაზე შემდეგი მოთხოვნილებანი დაადგინეს:

1) მოისპოს გლეხთა დროებითი ვალდებულება და ხიზნობა და მათი ნადელები უსასყიდლოთ მათ სრულ საკუთრებათ გამოცხადდეს.

2) ყველა გლეხს დაუბრუნდეს ის მიწა ალგილები, რომელიც მათ ჩამოაცალეს ბატონ-ყმობის გაუქმების დროს. (ტყე, საბალახო, წყალი და სხვა).

3) სახაზინო და საეკლესიო მიწები გლეხებს საკუთრებათ მიეცეთ

4) მიწის ღალა არ აღემატებოდეს მთელი მოსავლის მეათედს თუ ზედმეტი მიწა დაჭირდა გლეხს. მემამულემ თავისი წილი თითონ უნდა წაიღოს თავისი ხარჯით.

5) დაუბრუნდეს გლეხებს ის ფული, რომელიც გადიხადეს მათ თავის დახსნის დროს. ეს ფული გადახდეს საუფლისწულო და საეკლესიო მამულებს, აგრეთვე იმ თავადებს და აზნაურებს, რომლებმაც ამ გადასახადებით ისარგებლეს. ყველა ამ ფულით უნდა დაარსდეს ცალკე ფონდი სოფლის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ (შკოლები, საავათმყოფოები, გზების გაყვანა, წიგნთ-საცავი და სხვა).

6) ამავე ფონდს მიემატოს ის მაღაზიის ფული თავის სარგებლით, რომელიც გლეხებს უნდა დაუბრუნდეთ ხაზინიდან.

7) მოისპოს ყოველგვარი ბეგარა მემამულეთა სასარგებლოთ (მაგ. ძღვენი, ხარ-გუთნით და მუშა ხელით მიხმარება და სხ.).

8) ეკლესიის ყარაულობა დაევალოს თვით ეკლესიას თავის ხარჯზე, გზების კეთება კი ყველა წოდებას.

9) მოისპოს დრამა და სხვა ყოველგვარი გადასახადი მღვდლის სასარგებლოთ. ეკლესიის ხარჯები იმათ გასწიონ, ვისაც სურთ მღვდელი და ეკლესია.

10) მოისპოს ყოველგვარი ბაჟები არაყზე. სპიჩკაზე, ნავთზე, შაქარზე, თამბაქოზე და სხვ. ერთი სიტყვით ყველა პირდაპირი და არა პირდაპირი გადასახადები და ამის მაგივრათ სახელმწიფო გადასახადი დაწესდეს შემოსავალზე. ვისაც წლიურათ 500 მანეთზე ნაკლები შემოსავალი ქონდეს, იგი სრულიათ განთავისუფლებულ იქნეს გადასახადისაგან.

11) სახელმწიფო ტყეები და სახნავი მიწები გადაეცეს გლეხთა საზოგადოებას თავის საერთო სასარგებლოთ და საწარმოებელათ.

12) წოდებათა გაუქმება და ფართო თვით-მართველობის დაარსება. თვით ხალხი უნდა ირჩევდეს თავის მოსამართლეებს.

13) მუდმივი ჯარების გაუქმება.

14) უფასო და სავალდებულო პირველ-დაწყებითი სწავლა.

15) მოგვეცეს თავისუფლება კრებების, სიტყვის, წერის, ბეჭდვის, გაფიცვის და კავშირების. მოგვეცეს ნება ჩვენი არჩეული წარმომადგენელები ვიყოლიოთ არსებულ წეს-წყობილების შეცვლის და ახალის დადგენის დროს.

ამის შემდეგ ხელმეორეთ შეფიცეს გლეხებმა ერთმანეთს პურზე და მარილზე. დაუშატეს: ვიბრძოლოთ, გავწყდეთ ცოლით შვილამდე ვიდრე სრულებით არ დაგვაკმაყოფილებენ, და პირის გამტეხს სიკვდილით დასჯაც გადაუწყვიტეს.

რასაკვირველია, ეს კრება არ გამოეპარა მებატონეებს ზოგიერთა პირების შემწეობით, რომელთაც ქვეყვით მოვიხსენიებთ გივი სტაროსელსკი და ი. ჭავჭავაძე მაშინვე დაფაცურდენ, სთხოვეს მთავრობას ჯარი „ბუნტის“ ჩასაქრობათ. გივი სტაროსელსკი წერს თურმე თავის თხოვნაში გლეხებმა გადაიწვეს ს.აბძილ.კალო და თივა, გადაიპრეს ვაზი და ხეხილი, დაინგრიეს სახლ კარი და შვილებს მიხოცვენო.

1 აპრილს მოვიდა სოფელ საგურამოს ერთი როტა ჯარი დუშეთის მაზრის სამმართველოს მოხელის ა. გედევანიშვილის თან ხლებით. როცა რაზმის უფროსმა ნახა საგურამოს სოფლების სრული სიდინჯე და გლეხების თავდაჭერილობა, ნამეტურ გაუკვირდა. აქ არც ერთი არ არის მართალი, რასაც სტაროსელსკი იტყობინებაო და მაშინვე მოთხოვა ბინა სტაროსელსკის ჯარის დასაბინავებლათ და სურსათი. სტაროსელსკიმ ერთხელადაც და მეორეხელადაც უარი უთხრა, მხოლოთ აფიცერი მიიპატიჟა თავისთან გედევანიშვილითურთ. ჯარი,—ბძანა სტაროსელსკიმ,—სოფელს უნდა ჩაუყენო, დაინიავო, აიკლო, რომ შეშინდენ და ქედი მოიხარონ ჩემ წინაშეო, რაც დაადასტურა ა. გედევანიშვილმა. მაგრამ ამაზე კაპიტანმა უპასუხა: მე ჩემი ინსტრუქციით ვმოქმედობ და არა ვისიმე ჟინი უნდა დავაკმაყოფილოო. შემდეგ სოფელში დაუცალეს ექსი გომური, სადაც სოფლელები ცხოვრებდენ (აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ არც დიდებული ილია ჭავჭავაძე და არც სტაროსელსკი გლეხებს ნებას არ აძლევენ ზეზე სადგომის აგებას) და ჯარი იქ მოათავსეს. კაპიტანი კი მღვდლისას დაბინავდა. არც სანოვაგე მიცა სტაროსელსკიმ ჯარს. შემდეგ სოფლელებმა ერთი ხარი აჩუქეს ჯარს შემდეგი სიტყვებით: „ერთ ხარს გაძლევთ ისე როგორც სტუმრებს, მხოლოთ არ იფიქროთ რომ ეს შიშით მოგვდის, ჩვენზედ არავითარი შიში არ მოქმედობს“. შემდეგ თივა და ქერი მოითხოვეს, მთელი სოფლები შემოიარეს ვერსად იშოვეს. ბოლოს გამოირკვა, რომ გლეხები იანვარს აქეთ ნაყიდით იკვებებიან, როგორც თითონ ისე თავიანთ საქონელიც. ამავე დროს ბატონების ბეღლები სავსეა ჭირნახულით და მინდორ-საბძელი თივა ბზით. იქვე ახლოს იდგა 8 წლის ბიჭი. ერთმა ქართველმა ჯარის კაცმა კითხა ბიჭს, თქვენ ქერი არა გაქვთო? არა მიუგო ბიჭმა. მაშ რა უყავითო? კითხა ჯარის კაცმა. „მამა ცემმა ცოტა ცვენსა მაიტანა და ბევრი აგე იქ წაიღოო“. მიაშვირა თითი ი. ჭავჭავაძის ბეღელს. ბოლოს იძულებული გახდენ თივა სტაროსელსკიდან წამოელოთ ჯარის კაცებს ძალით. გამოეარდა სტაროსელსკი რევოლვერით ხელში, დაერია სალდათებს, გარეკა წყალზე მისული სალდათები, წერაქვით დაანგრია წყარო, და აღარ უშვებდა ჯარის კაცებს. მე ეგზეკუცია სხვანაირათ მესმისო, სუყველაფერი გლეხებს უნდა მოატანინოთ, აქედან წყალს არ

მოგცემო, წყალი შორიდან ზურგით აზიდინეთ გლეხებს, ტყავი გააძრეთ რომ დამშორჩილდენო. შემდეგ დაერია თავისთვის მდგომ გლეხებს რევოლვერით. დაუწყო უშვერის სიტყვებით გინება; ესროლა ბაჭარა ტუხასძე მოძღვარიშვილს, საბა ბიჩნაგოურს, მიხა გზირიშვილს ს. გურამიანთ კარის ნაცვალს დაადგა ლულა გულზე და დაუყვირა: ქუდი მომიხადე, ბატონო დამიძახე, რომ მოკვდე ისევ შენი ბატონი ვარო და ხალხიც ისევ გამომრეკე საქმეზეო. ამან უთხრა 6 მარტს აქეთ, რაც ჩვენ ერთობაზე გავიფიცენით, ჩვენ ბატონები აღარა გვყავს და ისე მოჰკვდება, რომ ველარ ეღირსო ბატონის დაძახებასო. ამ დროს მოეშველენ სხვა გლეხები და წაართვეს ხელიდან სასიკვდილოთ გამზადებული გზირიშვილი. მერე ილიკო გელაძეს ორჯელ ესროლა ლეონტევერი. შემდეგ წყლიდან პატარა ლიტრით წყალს ავსებდა 7 წლის პატარა გოგო მართა ბიჩნაგაური იმას გამოეკიდა რევოლვერით. საცოდავი ბავშვი გულ გახეთქილი წივილ-კივილით გაიქცა სახლისკენ. მერე შიშით ავათ გახდა. ყველა ამას რაც ზევით ჩამოთვლილია თავისი თვალით ყურებდა კაპიტანი როტისა ნიკოლოზ თევდორისძე კადურინი. ამავე როტის ფელდფებელი კოსტრაკოვი, თფილისის გუბერნიის დუშეთის მაზრის სამმართველოს საეროზო დარაჯი კირიკაშვილი, და მთელი ჯარი, რაც შეუძლიანთ დაამოწმონ. ერთი რამ მაკვირვებს ბატონ ილია ჭავჭავაძისა და ამას ვერ შევრიგებივარ, რას ნიშნავს ეს მისი სიტყვები:

— შემშინ, შემშინ სინანულსა ხალხთ ბოროტის ხმა მტერულისა! სიმართლის ხმა ქვეყანათა ჭქუხს დასაოხრებულთა მონობისა.

ადმატებს ხოლმე ეს სიტყვები ამედს გულში, დმერთო, დმერთო, ეს სიტყვები გამაგონე ჩემს მამულში!

თუ კი ეს დიდებული სიტყვები 1860 წელს ი. ჭავჭავაძისგან ნამდვილის გულით იყო ნათქვამი, ახლა, როცა ნატვრა აუსრულდა, ეს ტკბილი და უძლეველი ხმა გაიგონა თავის მამულში, ამ ხმას ხიშტიბით და ჯარით რატომ მიეგებაო? ან ნამდვილი და მართალი გულის ნატვრა მამულის და მოძმის საკეთილ დღეოთ ასეთი უნდა, როგორც ცოდნია ი. ჭავჭავაძეს. ილიასთანა გულწრფელ მამულიშვილებს მომავალშიაც ბევრს ვნახავთ. ზემოთ აღნიშნულ ამბების შემდეგ რაზმის უფროსმა დაიბარა დუშეთის მაზრის უფროსი რომელიც მოვიდა 3 აპრილს კვირას საგურამოში ბოქაულითურთ. მაზრის უფროსმა შეყარა მთელი საგურამოს გლეხ კაცობა და კითხა: რათ „ბუნტობთო“? ხალხმა მიუგო: ბუნტობით ჩვენ არა ვბუნტობთ და რაც გვინდა იმას შენ ვერ აგვისრულებო.— აი ბაღონებმა გაჩუქეს მამულები, ხვალე მოვა მომრიგებელი შუამავალი და კამისია და ჩაგაბარებთ მამულებსო: მოდით და ახლა ბოდიში მოიხადეთ სტაროსელსკისთან და შერიგდითო. მოიყვანეს სტაროსელსკიც. გლეხებმა უთხრეს: ჩვენს ბაჩირებას მაგინთანა ნაჩუქარი მოწყალება არაფერს უშველის. გარდა ამისა ასე ნაჩუქარს ისევ მალე წაგვართმევენ.—ვინ წაგართმევთ?—კითხა მაზრის უფროსმა. ვინა და ჩვენი მტრებიო,—მიუგეს გლეხებმა. მაშ რა გინდათ?—კითხა უფროსმა. რაც მთელ-რუსეთის მუშა ხალხს უნდა, ჩვენც ის გვინდა. ჩვენს მოთხოვნილებას გაზეთით გაიგებთ თუ აგრე გესიამოვნებათ.—მითხარით თქვენი ბაჩირება ყველაფერს აგისრულებთო რომ გვეძინები, თუ კი ასეთი გული გეწვით ჩვენზე,—უთხრა ხალხმა მაზრის უფროსს,—გუშინ რომ გაწყვეტას გვიპირებდა გვი სტარასელსკი და აფიცერი თავისი ჯარით უყურებდა არხეინათ, რატომ არ დაიჭირეს და არ დაატუსაღეს, იმანაც ხომ წესიერება დაარღვია და ჯარი წესიერების დასაცველათ არის მოსული. ეგ ამბავი, რომ ჩვენ ჩაგვედინა ციმბირს იქით გაგვაცილებდით, გივის ამ ნაირ ცელქობას კი აფიცერმა ვერ შეხედა. ახლა მაინც არ აიხელთ თვალებს, რომ თქვენ ყველანი ერთი ყოფილხართ და ჩვენ გლეხები კი თქვენ თვალში არაფერი. დღეს სადილათ, გივისთან წახვალ და რასაკვირველია ხათრს არაფერში გაგიტეხამ». მართლაც სადილათ მაზრის უფროსი ამალითურთ სტაროსელსკის კარზე მიბძანდა. დაბრუნებულმა გლეხებმა კრება მოახდინეს, რომელზედაც ხელმეორეთ შეფიცეს ერთმანეთს ერთობა უკანაკნელი სისხლის წვეთამდე. აქვე არ შემიძლიან დიდის მწუხარებით არ ავნიშნო საგურამოს ზოგიერთა „ჩვენი, დროის გმირების“ სამსახური ხალხის საწინააღმდეგოთ. ა. გედევანიშვილი სამაგალითო პოლიციელია კარგათ ხელმძღვანელობდა გივის. ყოველსავე არა საკადრის ზომებს ხმარობს ერთი ან ორი საფეხური მაღლა აიკიდეს. წინამძღვრიანთ კარის მღვდელმაც ა. ჯალიაშვილმა კარგათ დაიმსახურა ხალხის ყურადღება. 20 მარტს, როდესაც გალმა გამოლმა საზოგადოება ერთათ უნდა შეყრილიყო წინ გადუდგა ხალხს და დაუწყო ქადაგება არ შეყრილიყვნენ ერთათ. შემდეგ მერე რო ვერაფერს გახდა ხალხს მიაძახა დაცინვით: სეკრეტარი კი ვიცი ვინც გეყოლებათ, მაგრამ „პრეზედატელსაც“ გავიგებთ. მხოლოთ გაუფთხილდით ორივეს ყავამა არ მოგტაცოთ. ამას არც გურამიანთ კარის მღვდელი მამა ელიევი ჩამორჩა უკან. მწერალი რატიშვილი ხომ ცნობილია როგორც მოსე მწერალი და როგორც სანაქებო მაძებარი, რაც მამასახლისისთვინაც უსწავლებია.

ვ. ნ.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვ ამ ჩემ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენი გაზეთის ფურცლებზე. ამას წინათ გაზეთ „ივერიაში“ მე მოვათავსე წერილი, რომელშიაც ვამტკიცებდი, რომ გურიაში არსებულ მღელვარების ერთ-ერთ მიზეზათ ადგილობრივ პოლიციელების თავგასულობა უნდა მივიჩნიოთ მეთქი და მომყავდა რამდენიმე ფაქტი ამ აზრის დასამტკიცებლათ. მე მეგონა, რომ პოლიციელები ყურადღებას მიაქცევდენ ჩემ წერილს, და სამართალში გამომიწვევდენ, მაგრამ მოლოდინი აღარ გამართლდა. ისინი დღემდის ხმას არ იღებენ. რის ნიშანია ეს დუმილი, თქვენ კარგათ მიხვდებით. ახლა მე მსურს ერთხელ კიდევ ვცადო, ბეჭდვითი სიტყვის შემწეობით, მათ შესახებ ჩემი აზრის გამოთქმა და კიდევ დავასახელო რამდენიმე ფაქტი იმათი მოქმედების დასახასიათებლათ.

1) რამდენიმე წლის წინათ სოფ. ჯუმათის მემამულეს ბორის პოდკოლზინს თავს დაესხენ და გაცარცვეს. დამნაშავები პოლიციამ ვერ აღმოაჩინა და დაავალა საზოგადოებას გაცარცვულისათვის ზარალი ეხადა. მიმართეს ჩვეულებრივ ზომას და, კარგათ თუ ავათ, გადაახდევინეს საზოგადოებას 3000 მანეთი. მაგრამ მაგარი ის არის, რომ ამ სამი ათასი მანეთიდან თვით დაზარალებულს მესამედი არგუნეს, დანარჩენი 2000 მანეთი კი თვითონ პოლიციელებმა გაიყვეს. პოლიციელები ამითაც არ დაკმაყოფილდენ და იქამდის გათამამდენ, რომ ერთხელ გაყვლეფა ხალხის არ იკმარეს. იმავე გადასახადის სახით რამდენიმეჯერ გაიმეორეს იგივე ოპერაცია და პოდკოლზინის ზარალის საზღავათ ფულის კრეფა ჩვეულებათ აქციეს. ამას მე ვაღიარებ და შემიძლია დავამტკიცო კიდეც, სადაც ჯერ-არს.

2) ოზურგეთის პოლიციის მოხერხებით გასულ წელს გურიაში აჩეხეს მრავალი ყანები, რომლებშიაც „ავ თვალს არ ჩაეხედებოდა“. მე შემიძლია დავამტკიცო, რომ ყანებს ჩეხდენ პოლიციის აგენტები და დარაჯები (ტრაფიკები). თვით მე მომიცელეს ყანა და უტყუარი საბუთები მაქვს იმის დასამტკიცებელი, რომ ეს პოლიციის ჩინოვნიკმა და აგენტებმა ჩაიდინეს. რა მიზანი ჰქონდა პოლიციას, ყანას რომ აჩეხინებდაო,—იკითხავთ თქვენ. პოლიციას აზრათ ჰქონდა ყანების აჩეხა გაფიცულ გლეხებისათვის მიეწერა და სოფლებისთვის გადაეხდევინებინა მოცელული ყანის საფასი სწორეთ იმ წესით, რა წესითაც პოდკოლზინის ზარალი გადაახდევინა.

3) გასულ წელს ადგილობრივმა პოლიციამ რამოდენიმე კაცი დაიჭირა და სოფელს წინადადება მიცა ამ პირების შესახებ განაჩენი დაერდგინათ, რომ ისინი ადმინისტრატიული წესით გადაესახლებიათ. მაგრამ ამ ზომით მავნე პირების მოშორება კი არ ჰქონდათ მხედველობაში. სრულებითაც არა, პოლიციელებმა ამ პირებს ჭრთამი გამოართვეს, სოფლის განაჩენი ვითომდა რაღაც ფორმალური წესის აუსრულებლობის გამო მოსპეს და საქმე ასე დააბოლოვეს. ასეთი ამბავი, რა თქმა უნდა, მეზობლობაში იწვევს შურსა და მტრობას.

4) დასასრულ ოზურგეთის პოლიციამ აი რა ხერხს მიმართა გასულ წელს სასტიკი ზომების გასამართლებლათ: ოზურგეთში დაიბარეს მამასახლისები და კერძო პირები და განუცხადეს, რომ მათრახები და სხვა ამ ნაირი საშვალება გლეხების დასამშვიდებლათ, გუბერნატორს მემამულეებმა ურჩიეს და პოლიცია მხოლოთ მთავრობის ბძანებით როზგავს და აწამებს მათ, თორემ თვითონ არაფერ შუაში არ არისო. ამით მან, რასაკვირველია, კიდევ უფრო გაამწვავა უიმისოთაც გამწვავებული განწყობილება გლეხებსა და მემამულეებს შორის.

მე შემეძლო მთელი გაზეთი ამეკრძელებია ასეთი ფაქტებით, მარა რაც ვთქვი, ისიც საკმარისია. ვიმეორებ, მე მხათა ვარ პასუხი ვაგო სამართლის წინაშე ყველაფერში, რაც ვაღიარე და თუ ამ წერილსაც არ მიაქცევენ ყურადღებას, იმ შემთხვევაში, ეს წერილი აშკარათ დაუმტკიცებს ყველას ჩემი სიტყვების ჭეშმარიტებას.

მელქისედეკ მახარაძე.

რედ.-გამომც. ი. ჯ. როსტომაშვილი.

На годъ съ дост. и перес. 5 р. | открыта подписка на 1905 годъ **на издаваемый безъ предварительной цензуры** | IV годъ изданія.

еженедѣльный общедоступный журналъ

ЮРИСТЪ

РАЗСРОЧКА ДОПУСКАЕТЯ: при подпискѣ 2 р., 1 Марта 2 р. и 1 Іюня 1 р.

Подписка принимается въ Конторѣ «Юриста», С.-Петербургъ Фонтанка, 86, и во всѣхъ книжныхъ магазинахъ.

Подписчики „Юриста“ въ теченіе 1905 года получатъ:

52 №№ ЖУРНАЛА, выходящаго еженедѣльно по воскреснымъ днямъ и

7 безплатныхъ приложеній книгами:

1) СБОРНИКЪ Англійск. Судебныхъ процессовъ.

2) 6 книгъ законовъ гражданскихъ съ коммент. 6

(Сводъ зак. т. X ч. I изд. 1900 г.). Сост. Прив.-доц. С.-П. Унив. и Тов. Об.-Пр. Пр. Сен. И. М. Тютрюмовъ.

Первый опытъ разъясненія законовъ гражд., согласно мнѣніямъ научныхъ авторитетовъ и разъясненіямъ Правит. Сената.

„Юристъ“ ставитъ себѣ задачей помогать нашей читающей публикѣ, мало знакомой съ законами, разбираться въ вопросахъ права. Поэтому онъ посвящаетъ свои страницы изложенію въ общедоступной литературной формѣ дѣйствующихъ законовъ и основныхъ правовыхъ понятій Критикою всего отжившаго и обветшалаго, защитою права и справедливости журналъ надѣется примкнуть къ славной работѣ созиданія культурнаго величія Россіи. „Юристъ“, освобожденный отъ предварительной цензуры, получилъ возможность высказываться болѣе свободно по всѣмъ вопросамъ, входящимъ въ его программу, и эту возможность редакція постарается использовать, чутко отзываясь на всѣ явленія, волнующія и нынѣ особенно глубоко захватывающія правовые интересы общества. Считая правильное разрѣшеніе юридическихъ казусовъ, возникающихъ въ личной жизни читателей, однимъ изъ лучшихъ средствъ распространенія юридическихъ знаній и развитія истиннаго правосознанія, редакція по прежнему посвятитъ особое вниманіе тщательному составленію отвѣтовъ на правовые вопросы подписчиковъ.

ВЪ ЖУРНАЛѢ ПРИНИМАЮТЪ УЧАСТІЕ: С. А. Андреевскій, Л. А. Базуновъ, С. М. Барацъ, В. В. Беренштамъ, А. Л. Волынскій, А. С. Гольденвейзеръ, М. Л. Гольдштейнъ, И. М. Гордонъ, О. О. Грузенбергъ, В. И. Добровольскій, В. М. Дорошевичъ, Д. А. Дриль, Н. П. Дружининъ, Л. О. Зайденманъ, А. Д. Коротневъ, М. И. Кулишеръ, Б. Ф. Кутыловскій, Л. А. Куперникъ, А. Д. Ледницкій, А. А. Леонтьевъ, А. А. Лукашевичъ, В. А. Маклаковъ, М. С. Маргуліесъ, П. П. Мельниковъ, П. Г. Мироновъ, М. Г. Оршанскій, С. А. Муромцевъ, М. И. Мышъ, Н. Я. Новомбергскій, А. Я. Пассоверъ, Н. Б. Полыновъ, Г. О. Розенцвейгъ, А. Д. Самуильсонъ, А. Н. Турчаниновъ, И. М. Тютрюмовъ, А. М. Тютрюмовъ, Ф. А. Червинскій, А. А. Яблоновскій и др.

Издатель: Прис. Пов. Н. Б. Полыновъ.

Редакторы: Прис. Пов. Н. П. Карабчевскій. Пр. Пов. Л. Д. Ляховецкій.

Открыта подписка на 1905 годъ

на ежемѣсячный журналъ искусства, литературы и общественной жизни

ПРАВДА

ИЗДАНІЯ ГОДЪ 2-й.

Съ первыхъ книгъ начнется печатаніе разсказовъ: *Леонида Андреева*—«Царь». *Ивана Бунина*—„Бѣлая смерть“. *Максима Горькаго*—„Жестокіе“. *Евгенія Чирикова*—„Марька изъ Ямъ“. *Семена Юшкевича*—„Усталость“ и др.

Вышла февральская книга

СОДЕРЖАНІЕ: 1. *Ив. Бунинъ*.—Каинъ. Мистера Байрона. Переводъ съ англійскаго. 2. *Евг. Чириковъ*—Марька изъ Ямъ Повѣсть (продолженіе). 3. *А. Писарева*.—Счастье. 4. *Танъ*.—Стихотвореніе. 5. *А. Насимовичъ*.—Поспѣловъ (набросокъ). 6. *Л. Василевскій*.—Могила Эсфири и Мардохея. (Стихи). 7. *Октавъ Мирбо*.—Въ убѣжищѣ Богородицы 36 Скорбей. (Изъ «Дневника Горничной»). Пер. съ французскаго С. Петрашъ. 8. *М. Конопницкая*.—Милосердіе общины. (Переводъ съ польскаго). 9. *А. Финнъ*.—Теорія средствъ существованія (окончаніе. 10. *А. Дивильковскій*.—Максимъ Горькій. (Критическій очеркъ). 11). *А. Чеботаревская*.—Великій переворотъ во французскомъ искусствѣ XIX вѣка. (Съ иллюстраціями). 12. *Библіографическія замѣтки*: *В. Щербина*.—Головачевъ. Россія на Дальнемъ Востокѣ.—*Ал. Шенскій*.—Пѣвецъ гражданской скорби. (Избранныя стихотворенія Р. Патканьяна).—*Г. К.*.—Бретъ Гартъ. Калифорнійскіе разсказы.—Списокъ книгъ, поступившихъ въ редакцію. 13. *А. Ковровъ*.—Нѣмецкая прислуга. (Оковчаніе). 14. *Мих. Ольминъ*.—По поводу президентскихъ выборовъ въ Сѣверо-Американскихъ Соединенныхъ штатахъ. (Окончаніе). 15. *А. Луначарскій*.—Осенній салонъ въ Парижѣ. 16. *Е. С.*—*Иностранное обозрѣніе*: Русскія событія и европейское общественное мнѣніе. Стачка 220.000 углекоповъ въ русскомъ бассейнѣ. 17. *В. С. Никольскій*.—Письмо въ редакцію. 18. *Б. У.*—По поводу женскихъ техническихъ курсовъ въ Москвѣ. (Письмо въ редакцію). 19. *Бродяга*.—Журнальная хроника. 20. *Другъ*.—Мелкая земская единица въ Самарскомъ Земствѣ. (Письмо изъ Самарской губерніи). 21. Отъ конторы журнала. 22. *Теодоръ Беерь*.—Міровоззрѣніе одного современнаго естествоиспытателя. (Некритическій рефератъ сочиненія Э. Маха „Анализъ ощущеній“).—Пер. съ Нѣмецкаго Г. Котляра. 23. Объявленія.

ЦѢНА ФЕВРАЛЬСКОЙ КНИГИ 1 РУБЛЬ.

Январская книга вся израсходована: подписавшіеся послѣ 31 января получатъ изъ состава январьской книги тѣ статьи (ок. 100 страницъ), коихъ предложенія слѣдуютъ въ дальнѣйшихъ книгахъ, начиная съ февральской: взамѣнъ же остальной части январьской книги новымъ подписчикамъ предлагается получить или любую изъ послѣднихъ книгъ „правды“ за 1904 годъ, или скидку въ 50 коп. съ подписной цѣны, съ пересылкой того и другого за счетъ конторы журнала.

Желающимъ высылаются безплатно: Указатель статей 1904 года и подробныя объявленія.

Пробный номеръ за 1904 г. высылается за 30 коп. (деньгами или марками).

Условія подписки: Годъ—8 р. (безъ дост.—7 р. 50 к.), полгода—4 руб., 3 мѣс.—2 р. Годовымъ подписчикамъ—разсрочка.

Оставшіеся въ небольшомъ количествѣ комплекты журнала за 1904 годъ продаются по 9 руб. (съ пересылкой).

Адресъ редакціи: Москва, Кудрино, 1, 18; Конторы-Неглинная, ред.-изд. Вал. Козневниковъ.

2—2

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9-го апрѣля 1905 г.

სტამბა ე. ი. ხელაძისა. რუსის ბაზარი, სახლი სომხ. სას. სემ.